სპორტიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 11 იანვარი 2005 №2 (2325) ფასი 50 თეთრი

გაიოზ ჯეჯელავა 90 წლისაა

დღეს ეს კაცი ქართული ფეხბურთია

დღეს 11 იანვარია და დღეს გაიოზ ჯეჯელავას დაბადების დღეა.

ფეხბურთის ლეგენდა 90 წლისა შესრულდა და ჩვენ კვლავაც ვუსურვოთ დღეგრძელობა იმ ადამიანს, ვინც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლით პირდაპირ და ურყევად ამტკიცებს ქართული ფეხბურთის უკვდავებას.

ახალი თაობისთვის, უფრო ტელევიზორის ფეხბურთს დაჩვეული გოგო-ბიჭებისთვის ეგებ მაგიური არც იყოს ძველი სახელები მათი სიდიადის მიუხედავად. მაგრამ ეს სრულიად არაფერს ნიშნავს ფეხბურთის სინამდვილისთვის.

გაიოზ ჯეჯელავა ხომ იმ დროს თამაშობდა ფეხბურთს, როცა ბევრის მშობელიც კი არ დაბადებულიყო. ჯეჯელავა სწრაფი, ვირტუოზი გარემარბი, ომამდელი და ომისშემდგომი საბჭოთა სტადიონების ნამდვილი მშვენება იყო. იმ დროის ფეხბურთი ისედაც ვირტუოზების თამაში, წარმტაცი და გემრიელი სანახაობა იყო, გაიოზ ჯეჯელავა კი სწორედაც რომ ვირტუოზთა მეფე გახლდათ: საბილიარდო სიზუსტით, მახვილგონიერებითა და წარმოუდგენლად მოქნილი ფეხებით ის პირდაპირ აძულებდა სიცოცხლეს მეტოქეთა მცველებს.

მისი ილეთები ზღაპრადაა დარჩენილი ძველ გულშემატკივრებში და სევდისმომგვრელი მის საფეხბურთო კარიერაში ეს არის, რომ ის იყო უტელევიზორო ეპოქა, უფრო სწორად კი ძუნწი კინოქრონიკის დრო და წარსულზე ისედაც სადღეგრძელოებით მზრუნველი ხალხისთვის გაიოზ ჯეჯელავას ჯადოსნობანი მაინც უხილავი დარჩა მომავლისთვის.

თუმცა, ეგებ ეს აღარაფერს ნიშნავდეს ახლა, როცა გაიოზ ჯეჯელავა 90 წლისა მოიყარა და თავად განასახიერებს ქართულ ფეხბურთს.

ადრე ერთმა რუსმა ჟურნალისტმა იხუმრა: გაიოზ ჯეჯელავა ფეხბურთელი იყო და მეტოქეებს შიშის ზარს სცემდა თავისი ვირტუოზული თამაშით, მერე მწვრთნელი გახდა და კვლავაც შიშის ზარს სცემდაო.

რატომ და იმიტომ, რომ ვასილი სტალინის „ვეეესის“ გუნდის ორგანიზება ბელადის ვაჟმა სწორედ მას სთხოვაო. დიახ, იმ დროში თამაშობდა გაიოზ ჯეჯელავა და იმ დროში კი თუ ვარსკვლავი არსებობდა, მართლა ნამდვილი და მოკაშკაშე იყო.

საერთოდ კი, ამ საუკუნეს მიტანებული ვარსკვლავის ცხოვრება ერთ დიდ, საოცარ წიგნს მოითხოვს. დღეს ქართული ფეხბურთისთვის ფერისა და იერის მიმცემი კაცის დაბადების დღეა.

ჯადოქარი 90 წლისაა.

ჩვენი ფეხბურთი ვარსკვლავების ფეხბურთი იყო

აი, მადა!

ზესტაფონმა რვეულიგაავსო

ალეკო გოგობერიშვილი

„ზესტაფონში“ დიდი სატრანსფერო ამბებია.

ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლოს იმერლებმა უკრაინიდან ზურაბ იონანიძისა და კახა ჩხეტიანის ჩამოყვანა ხომ მოახერხეს და მერე ფოთის „კოლხეთიდან“ მეკარე ზურაბ ქვაჩახიაც სათავისოდ დაიგულეს, ახლა ერთბაშად რვა ფეხბურთელის დამატებას აპირებენ.

ჩამოთვალოთ: „ტორპედოს“ მეკარე ზვიად სტურუა, „ლოკომოტივის“ მცველი მიხეილ მახვილაძე და ნახევარმცველი ალეკო გოგობერიშვილი, „ვიტ ჯორჯიას“ მცველი თენგიზ კობიაშვილი, „დინამოდან“ ტრანსფერზე დაყენებული ბორის გონჩაროვი, ირანული „საბადან“ წამოსული ვალტერ გუჩუა და „ამერის“ თავდამსხმელ-ნახევარმცველები ბექა გოცირიძე და გიორგი განუგრავა, რომლებსაც კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ ამოწურვიათ.

ეს ფეხბურთელები „ზესტაფონის“ კარის ზღურბლზე დგანან და დღეს-ხვალ, ალბათ, კონტრაქტებსაც გააფორმებენ. ამათი გუნდში ჩარიცხვის ამბავი აქამდეც მოგვარდებოდა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია უცხოეთში იყო და უმისოდ ეს საქმე არ გამოვიდა. როგორც გვითხრეს, ილია კოკაია თბილისში დღეს უნდა ჩამოვიდეს.

„ზესტაფონი“ კი თბილისშია და დღეში ორჯერ ვარჯიშობს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიან მოედანზე და დიდუბეში, მძლეოსნობის მანეჟში. გუნდი ერთ კვირასაც თბილისში დარჩება, 17 იანვარს კი მოსამზადებლად ანთალიაში გაემგზავრება. ზემოჩამოთვლილი რვა ფეხბურთელიც, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, თურქეთში „ზესტაფონთან“ ერთად იქნება.

კოტა ინასარიძე

ჯემალ ჩიმაკაძე და ლევან ყიფიანი

თბილისის „ლოკომოტივში“ ცვლილებები უკვე მოხდა, მაგრამ კიდევაა მოსალოდნელი. კლუბის გენერალურ მენეჯერ ლევან ყიფიანს სწორედ ამ საკითხზე ვესაუბრეთ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მეორე ეტაპზე სულ სხვა „ლოკომოტივს“ ვიხილავთ

თბილისი — მოსკოვი

რეისი იქნება, ოღონდ როდის, რუსებმაც არ იციან

ტრადიციულ ესენგეს ჩემპიონთა ტურნირზე საჩამაშოდ „თბილისი“ მოსკოვს 14 იანვარს გაემგზავრება და სასტუმრო „კოსმოსში“ დაბინავდება. როგორც გუნდის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რომ „თბილისი“ ამ ტურნირზე უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებს და მოსკოვში მყოფ სელექციონერებზე შთაბეჭდილების მოხდენას ეცდება. თბილისელთა მოსკოვური მიზანიც პირველ ყოვლისა ესაა — ქართული გუნდი სელექციონერებმა საომავლო ურთიერთობისთვის უნდა გაიცნონ. საომავლო ურთიერთობა კი ალბათ მაისიდან, საქართველოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაიწყება.

ორგანიზატორებს მოულოდნელად იმდენი პრობლემა შექმნიათ, რომ დღემდე ზუსტად არ იციან, ტურნირს როდის დაიწყებენ, რუსების თქმით, ესენგეს ჩემპიონთა თასის გათამაშება შესაძლოა ორი დღით გადაიდოს და თუ ასე მოხდა, „თბილისი“ მოსკოვს 16 იანვარს გაფრინდება.

ამასობაში კი გუნდი თბილისში დღეში ორჯერ ვარჯიშობს. ლუის ცაკარიასის შეგირდები დილაობით ვაკის პარკში დარბიან, ხოლო საღამოს „ოლიმპის“ სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვარჯიშობენ.

გუშინ კი „თბილისიდან“ ისიც შევიტყვეთ, რომ გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, რომელიც გუნდს „ბათუმში“ ჰყავდა განათხოვრებული და ამ დღეებში მოსკოვის „ლოკომოტივში“ უნდა წასულიყო, დღეს-დღეობით „თბილისშია“ და მოსკოვშიც გუნდთან ერთად გაემგზავრება.

კოტა ინასარიძე

ბათუმში ფული გამოჩნდა, მოთამაშეები გაუჩინარდნენ

გრიშიკაშვილს შუმახერა შეცვლის

ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მზადებას „ბათუმი“ დღეიდან შეუდგება. ის ფეხბურთელები, ვინი იმედიც კლუბის ხელმძღვანელობას გაზაფხულიდან ექნება, უკვე ბათუმში არიან. როგორც „ბათუმის“ გენერალურმა დირექტორმა ასლან ბალაძემ გვითხრა, კლუბში ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა და ითითქმის ყველა პრობლემაც მოგვარებულია: „გუნდს აჭარის ხელმძღვანელობა დაპირდა დახმარებას და უკვე სიტყვაც შეასრულა. ჩათვალეთ, „ბათუმს“ ფინანსური პრობლემები აღარ აწუხებს.“

სამაგიეროდ კი „ბათუმს“ კონტინგენტის პრობლემები შეაწუხებს და თუ მეორე ეტაპის დაწყებამდე გაძლიერება ვერ მოახერხა, ალბათ ძალიან გაუჭირდება. ნოდარის ძე ჭელიძემ, ირაკლი შენგელიამ და სოსო გრიშიკაშვილმა „ბათუმი“ უკვე დატოვეს და მათ გზას დაადგნენ ნუკრი მანჩხავა, ზურაბ ექონია და ნიკა გუშარაშვილი. ეს სამი ფეხბურთელი ბათუმში ჯერაც არ უნახავთ და გუნდში მათი მიბრუნების იმედიც აღარ აქვთ. თუმც, ასლან ბალაძის თქმით, ამ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებას კლუბი მაინც ბოლომდე ეცდება.

ჯერჯერობით კი ბათუმელებმა მხოლოდ ერთი ფეხბურთელის გადაბირება და „თბილისში“ დაბრუნებული მეკარე გრიშიკაშვილის შემცვლელის მოძებნა მოახერხეს — „ბათუმმა“ „შუმახერა“ ანუ რამაზ სოღოლაშვილი დაიმატა.

„ბათუმმა“ უკვე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი უცხოურ შეკრებაზე და გადაწყვიტა, რომ მოსამზადებელ პერიოდს მთლიანად ბათუმში გაატარებს. თუმც გუნდს ეიმედება, რომ ამხანაგური მატჩები არ მოაკლდება, ბათუმელებს უკვე დაუწყიათ მოლაპარაკება თურქებთან და ორ-სამ სპარინგ-მატჩს სწორედ თურქეთში ითამაშებენ.

კოტა ინასარიძე

შოთა ლოკომოტივს ტრაპიზონში უშვებს

საახალწლო გეზი: ბრაზილია და ახალგაზრდობა

— მთავარი ცვლილება ჩვენთან ისაა, რომ გუნდის მწვრთნელი შეიცვალა — ზაურ სვანაძის ნაცვლად „ლოკომოტივს“ ჯემალ ჩიმაკაძე გაწვრთნის, რომელსაც ნოდარ აკობია და ავთო ბერიძე დაეხმარებიან, მეკარეებს კი კვლავაც მამუკა აბუსერიძე ავარჯიშებს. ერთი მხრივ ციტნოტში აღმოვჩნდით, მაგრამ ასეთ სიტუაციაში მუშაობის გამოცდილება ჩიმაკაძეს აქვს.

— მწვრთნელთა ცვლა რამ გამოიწვია?

— კლუბი სვანაძის მადლობელია, მან ერთობ რთულ დროს ჩაიბარა „ლოკომოტივი“ წინა სეზონის მეორე ეტაპისთვის, მაგრამ ამ ეტაპზე პირობებზე ვერ შევთანხმდით — მან თავისი პირობები და პროგრამა წამოაყენა.

— კლუბის სტრატეგია კი რას ითვალისწინებს?

— ჩვენ ორწლიანი პროგრამა გვაქვს — დავეყრდნობით ახალგაზრდა ფეხბურთელებს და ლეგიონერებს.

— დეკემბერში ჩიმაკაძე ბრაზილიაში იყო „ლოკომოტივისთვის“ ფეხბურთელების მოსაძებნად — ლეგიონერებში ამ ბრაზილიელებს გულისხმობთ?

— დიახ, „ლოკომოტივს“ სამი ბრაზილიელი შეუერთდება — ორი ფორვარდი და ერთი ნახევარმცველი. ისინი იმ ხელფასზე დათანხმდნენ, რაც ქართველ ლოკომოტიველებს აქვთ. ამ სამი ბრაზილიელიდან ორი მოყვარულია, ვილიამ კოზლოვსკი კი პროფესიონალია, მეორე ლიგის „პარანაში“ თამაშობს.

— როდის შეუერთდებიან ეს ფეხბურთელები „ლოკომოტივს“?

— შოთა არველაძის დახმარებით 25 იანვრიდან 7 თებერვლამდე ტრაპიზონში გავიელით შეკრებას — თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ ამ ქალაქის ახლოს ამ ცოტა ხნის წინ ბაზა ააგო და „ლოკომოტივი“ პირველი უცხოური კლუბი იქნება, რომელიც ამ ბაზაზე მოემზადება და ბრაზილიელებიც იქ შემოგვიერთდებიან. ალბათ „ტრაბზონსპორს“ და „რიზეს“ ვეთამაშებით საკონტროლო მატჩებს, შესაძლოა, სხვა თურქულ გუნდებსაც.

— „ლოკომოტივიდან“ ლადო ბურდული და ალეკო გოგობერიშვილი მიდიან?

— ისინი ჯერ ჩვენთან ვარჯიშობენ და თუ სასურველ გუნდში ვერ გადავლენ, არაა გამორიცხული, რომ „ლოკომოტივში“ დარჩნენ. ჩვენთან კონტრაქტი დაუმთავრდათ მიხეილ სოსელიას, ლევან სანიკიძეს, გიორგი შენგელიას და რამაზ სვანაძეს, თუმც ვნახოთ, რა რიგორ იქნება, ისინიც „ლოკომოტივში“ ვარჯიშობენ. მეკარე ზურაბ ბათიაშვილი კი „კოლხეთში“ გავუშვით იჯარით. დავიმატებთ ნუკრი მანჩხავას და ზურაბ ექონიას „ბათუმიდან“, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს ჩვენი ფარმ-კლუბიდან.

დავით თავართქილაძე

თბილისის „დინამო“ დაბადების 90 წლისთავს ულოცავს ძველი თაობის გაუხუნარ ვარსკვლავს, კლუბის ისტორიას ლეგენდად შემორჩენილ

გაიოზ ჯეჯელავას

და უსურვებს მას ჯანმრთელობას და კიდევ დიდხანს სიცოცხლეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 90-წლოვან იუბილეს ულოცავს სახელოვან და ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს

გაიოზ ჯეჯელავას

იტალია

სერია B. XX ტური

არეცო 1:1 ემპოლი

ბარი 3:0 ვიჩენცა

სერია C/A. XVIII ტური

მანტოვა 4:0 ლუკეზე

ინგლისი

პირველი ლიგა

გადადებული მატჩი

ტრანმერი 0:1 ბრისტოლი

საფრანგეთი

II დივიზიონი

XX ტური

სედანი 2:0 ნანსი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია სამძიმარს უცხადებს ილია ბაბუნაშვილს მამის

გივი ბაბუნაშვილის

გარდაცვალების გამო

ლადო ახალაია ჩვენი შვეიცარიიდან მართლა შვეიცარიაში მიდის

თბილისის „დინამოდან" ტრანსფერზე დაყენებული ლადო ახალაია უახლოეს დღეებში შვეიცარიაში გაემგზავრება და „ციურიხთან" შესაძლო კონტრაქტის დეტალებს დააზუსტებს. ლადოს „ციურიხში" გადასვლას ბევრიც არაფერი უკლია, კლუბი ქართველი ფეხბურთელით დაინტერესებულია, არც ახალაიაა შვეიცარიაში წასვლის წინააღმდეგი და არც „დინამოა" უარზე. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ ლადო უვარჯიშებელია და სასურველ სპორტულ ფორმაში არ არის. ის ოჯახთან ერთად ბაკურიანში ისვენებდა და მთელი დატვირთვით ვარჯიში ჯერ არ დაუწყია.

ახალაია „დინამომ" ტრანსფერზე ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ დააყენა და ამ ნაბიჯით თავად ფეხბურთელსა და მისით დაინტერესებულ კლუბებს სატრანსფერო მოლაპარაკებების მეტი საშუალება მისცა. „დინამოს" ახალაიას თაობაზე პირველად „თბილისი" გამოეხმაურა, ამ ფეხბურთელის მოსკოვში, ესენგეს თასზე წაყვანა ისურვა, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა, „დინამომ" ფეხბურთელი „თბილისში" აღარ გაუშვა.

შეგახსენებთ, შვეიცარიულ „ციურიხში" თავის დროზე ორი ქართველი თამაშობდა — გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი.

ქოგა ინასარიძე

კორღალიძე უნდა გაგეტანასაც გაიტანს



Левочка, забить нужно было, забить! — ამ სიტყვებით შეეგება „სკონტოს" თავკაცი იურის ანდრეევსი ნამატჩევს ლევან კორღალაძეს და გადაეხვია.

რიგელებმა გუშინწინ „ლივონიის თასი" მოიგეს და 2005 წელი მორიგი ტიტულის მოპოვებით დაიწყეს. შეგახსენებთ, რომ ამ თასისთვის ერთმანეთს ლატვიის და ესტონეთის ჩემპიონები ეთამაშებიან და „სკონტომ" წლეულს ზედიზედ მესამედ მოუგო მეზობელს.

კორღალიძე კი მატჩის გმირიც გამოდგა და „ანტიგმირიც". ესტონური „ლევადია" კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და მისი დამარცხება რიგელებს ძალიან გაუჭირდათ. 4:3 — ასე მოიგო „სკონტომ", მაგრამ... ანგარიში 5:3 უნდა ყოფილიყო, ირწმუნებიან ლატვიელები და აი, თურმე რატომ: 90-ე წუთზე „სკონტოს" ქართველი ლიდერი მეკარესთან პირისპირ გავიდა, თითქოს ბურთი კარში უნდა შეაგოროს და...

სწორედ ეს მომენტი შეახსენა რიგელთა თავკაცმა ლევანს ნამატჩევს. თუმც, ასეა თუ ისე, კორღალიძეზე აუგი მაინც არავის დასცდენია — ჩვენებურმა სამ გოლში მიიღო აქტიური მონაწილეობა და აშკარაა, მძიმე ტრავმის მერე ფორმას იბრუნებს.

სკონტოელთა შორის მეორე ტაიმში ზურაბ მენთეშაშვილიც გამოჩნდა. ფეხბურთელი, რომელსაც მოსკოვის „სპარტაკში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ, ჯერაც რიგაშია. „მენთეშა" 52-ე წუთზე შევიდა მოედანზე და თასის მოგებაში თავისი წილიც დაიდო.

ნელი ჯიბუტი

ჯაკობიასთან ზავაროვი მიდის

ლაშა ჯაკობიას ხარკოვული „მეტალისტი" ნახევრად დაცარიელდა. ჯერ იყო და, თავისი ნებით წავიდა. მთავარი მწვრთნელი გენადი ლიტოვჩენკო, რომელსაც 12 ფეხბურთელიც მიჰყვა. ჯაკობია კი ისევ „მეტალისტშია" და შეთხელებულ გუნდთან ერთად ანთალიურ შეკრებაზე ემზადება.

როგორც ამბობენ, ლიტოვჩენკოს შემცვლელად დღეს ხვალ კიევის „დინამოსა" და ტურინის „იუვენტუსის" ექს-ვარსკვლავი ალექსანდრ ზავაროვი დაინიშნება. ვნახოთ, რამდენად წაადგება მწვრთნელთა ცვლა ჯაკობიას, თუმც საქართველოს ნაკრების ფორვარდს ძირითადში მოხვედრა აღარ უნდა გაუჭირდეს. კაცმა არ იცის, „მეტალისტი" ვის შეიძენს, მაგრამ დღესდღეობით ლაშას გარდა მხოლოდ ორი თავდამსხმელი ჰყავს.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I-I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

ბრიგელს 0:2 დაავიწყდა და თვალშიც ვეპატარავებით



ჩვენ ისტორიულ მეტოქედ ქცეული ალბანეთის ნაკრები მუნდიალის შესარჩევი მატჩების განახლებას რიხით ელის. რატომაც არა, ოთხი თამაშიდან ექვსი ქულა „არწივებისთვის" ცოტა არ არის, მაგრამ მათი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა საპირველაპრილო ხუმრობას უფრო ჰგავს. აი, ალბანელთა გერმანელი თავკაცი ჰანს-პეტერ ბრიგელი კი ასე არ ფიქრობს და უახლოეს სამ შესარჩევ მატჩში (შინ უკრაინასთან, სტუმრად საბერძნეთთან და თურქეთთან) მინიმუმ ხუთი ქულა სწყურია.

„საბერძნეთთან მოგებამ ყველას დაანახვა ალბანური ფეხბურთის პროგრესი, თუმცა ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ და წინ ვიყურებით. მუნდიალზე მოხვედრის შანსიც გვაქვს, მაგრამ მთავარი მაინც ხარისხის ამაღლებაა, რასაც ეტაპობრივად და, რაც მთავარია, სწრაფად ვახერხებთ. ერთი კია, ალბანეთში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ჭაობშია, თუმც ორი წლის წინ უარესი იყო. 9 თებერვალს უკრაინას ვმასპინძლობთ და ანდრეი შევჩენკოს გასაჩერებლად უნდა ვიმტვრიო თავი, მაგრამ შევეცდები, ეს მოვახერხო. მთავარია, ტრავმები აგვცდეს. ის კი ვიცი, რომ 0:3-ს არ წავაგებთ" — ბრიგელმა ამ ბოლო სიტყვებით თურქებს წაჰკბინა.

ახლა, ალბანეთის ნაკრები ულეგიონერებოდ ანთალიაში ემზადება და ამხანაგური მატჩის გამარჯვებაც მოასწრო. მეორე ბუნდესლიგელი „ობერჰაუზენი" 2:1 დაამარცხა, გოლები კი მუკამ და სინანიმ გაიტანეს. 9 თებერვლამდე „არწივები" ასევე მეორებუნდესლიგელ „კარლსრუეს" და თურქულ „მალათიას" წაეამხანაგურებიან.

ბრიგელმა ჩვენი ჯგუფის ფავორიტებიც ჩამოკენჭა — დანიას, უკრაინას, თურქეთსა და საბერძნეთს მიიჩნევენ ფავორიტებად, ჩვენ კი არავინ გვახსენებს და ეს ძალიან კარგიაო.

როგორც ჩანს, ჰერ ბრიგელს საქართველოში წაგება დაავიწყდა...

ილია ნანობაშვილი

საქართველოს ნაკრების დარად, ამხანაგური მატჩების დაგეგმვას ჩვენი მეტოქეებიც ცდილობენ და აგერ, ახლახან გაირკვა, რომ ვალერი ლობანოვსკის სახელობის ტურნირში, რომელიც წლეულს მესამედ ტარდება, უკრაინა და საბერძნეთი ითამაშებენ. ტურნირი 15-17 აგვისტოს კიევში გაიმართება და ჩვენი მეტოქეების გარდა მონაწილეობას სლოვენია და პოლონეთიც დათანხმდნენ.

ნახევარფინალური წყვილები კი ასეთია: უკრაინა — სლოვენია და საბერძნეთი — პოლონეთი.

შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი ადრე საკლუბო იყო და მასში შარშან თბილისის „დინამოც" მონაწილეობდა.

ლუკა თალაკვაძე

რა გერმანია, რის დინამო?!

გიორგი ლომაია: თურქეთში ვარ და არაფერი გამიგია

რუსული „ხიმკი" თურქეთში ემზადება საახალსეზონოდ. გიორგი ლომაიას და ვალერი აბრამიძის გუნდს პრემიერლიგაში გადასვლა ამოუჭრია გულში და საამისოდ სერიოზული მუშაობაა გაჩაღებული. ხელმძღვანელობა უამრავ ფეხბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებასო, გვითხრა გუშინ გიორგი ლომაიამ, რომელსაც ამის გარდა სხვა ბევრიც ვკითხეთ. მით უმეტეს, ამ ცოტა ხნის წინ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, ლომაია ბუნდესლიგაში გადადისო...

— ახალი არაფერია, ვვარჯიშობთ და ვართ. მაგარი დატვირთვებია, მაგრამ შეკრებაზე ხომ სხვაგვარად არც იქნება.

— ამხანაგური მატჩები თუ ჩაატარეთ?

— ბოლოს, გუშინ უკრაინულ „ვორსკლას" ვეთამაშეთ, პირველმა შემადგენლობამ 0:3 წააგო, მეორემ კი 5:2 მოიგო.

— „ვორსკლაში" შესაძლოა ალეკო ამისულაშვილი გადავიდეს და შენ ხომ არ გაგიგია რამე?

— პირველად მესმის. ყოველ შემთხვევაში, ალეკო აქ არ მინახავს.

— „ხიმკიზე" რუსეთში ბევრს ლაპარაკობენ, პრემიერლიგაში გადასვლის ფავორიტად მიიჩნევენ...

— დაიწყება ჩემპიონატი და ვნახავთ, რა გამოგვივა. ხელმძღვანელობის უმთავრესი მიზანი კი მართლაც პრემიერლიგაში გადასვლაა.

— ანდრეი ტიხონოვი უკვე შემოგიერთდათ?

— კი, გუშინ ითამაშა კიდეც.

— ვალერი აბრამიძე გლანდების ოპერაციის გამო გვიან ჩამოვიდა თურქეთში და ახლა როგორაა?

— უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

— გიორგი, გერმანულ „კაიზერსლაუტერნში" შენ გადასვლაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. რას იტყვი ამის თაობაზე?

— რა ვთქვა, უფრო ჭორი მგონია.

— არადა, ამბობენ, „ხიმკის" პრეზიდენტმა ანდრეი ჩერვიჩენკომ დიდი თანხა მოითხოვა და მოლაპარაკება ამიტომ ჩაიშალაო...

— მეც ის ვიცი, რასაც ახლა შენ მეუბნები, მეტი არაფერი.

— რა გამოდის, ეს ყველაფერი ჭორი იყო?

— ყოველ შემთხვევაში, ჩემთან არავინ მოსულა და ამ თემაზე არ ულაპარაკია.

— გეტყობა, რაღაც იცი და არ ამბობ...

— ვერაფერს გეტყვი. ფაქტია, რომ გერმანიიდან პირადად არავინ შემხმიანებია.

— მოსკოვის „დინამოშიც" „გადაგიყვანეს". თან თავად რუსები წერდნენ ამის შესახებ...

— ეგეც გავიგე, მაგრამ... „დინამოს" ათი მეკარე ჰყავს და მე რაღად დავჭირდებოდი, ვერ გამიგია. მიჭირს ასეთ რამეებზე კომენტარი.

— თურქეთიდან შინ როდის ბრუნდებით?

— 20 იანვარს.

— ალბათ ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ გექნება...

— ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. „ხიმკიში" ახლა ექვსი მეკარე ვართ და თუ არ გავინძერი, თან არავინ გადამყვება.

— მაინც როგორ ფიქრობ, გადახვალთ პრემიერლიგაში?

— იმედი მაქვს... ჯერ გუნდი ბოლომდე არ დაკომპლექტებულა. ყოველდღე უამრავ ფეხბურთელს სინჯავენ და ვნახოთ, როგორ გაძლიერდებით.

ბახა ზალამბერიძე





ფინკემ ხიზანეიშვილს ბრძოლა მოუწონა

ქართველების პორტუგალიური და ობერლიგური თავგადასავალი

თუ იტალიასა და ესპანეთში სეზონი განახლდა, ბუნდესლიგა ამისთვის ჯერ ძალას იკრებს და ემზადება — საკონტროლო მატჩები გერმანიის „ქართულმა“ გუნდებმაც ითამაშეს.

გელზენკირხენის „შალკე 04“-მა ორ დღეში ორი მატჩი გამართა — ჯერ „პროიზენ მიუნსტერს“ მოუგო 4:1, მერე ასევე ობერლიგის „კლევეს“ ეთამაშა სტუმრად და ოდენ ფრეს გამორჩა 1:1.

„კლევერსთან“ მატჩს რამდენიმე ათასი მაყურებელი დაესწრო, პერიფერიულ გუნდს ხომ თვით „შალკე“ ესტუმრა. გელზენკირხენელები კაი ჰესეს გოლით დაწინაურდნენ და კიდევ უნდა გაეტანათ, მაგრამ ლევან კობიაშვილის გარჯა ამაო გამოდგა — კობიაშვილმა ჯერ ფლანგური პასი ისე მიართვა ებესანდს, რომ დანიელ ფორვარდს სამი მეტრიდან უნდა დაელაშქრა „კლევეს“ კარი, მაგრამ მიზანმა უმტყუნა; შემდეგ კობიაშვილმა აილტონი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ და ბრაზილიელმა შემტევმაც კარს ააცილა ბურთი. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი „კლევემ“ ანგარიში გაათანაბრა.

ნამატჩევს „შალკეს“ საქმეთა გამგებელი რუდი ასაუერი უკმაყოფილო გახლდათ: „მეტოქე კარგად იცავდა თავს, ხოლო ჩვენ ცუდად ვითამაშეთ“.

„შალკეს“ შემადგენლობა ასეთი იყო: *ჰაიმეროთი, ლამოტე, ვან ჰოოგდალემი (ვალდოხი 62), როდრიგესი, პანდერი (კრსტაიჩი 46), ვერმანტი (**კობიაშვილი** 46), ალტინტოპი (ასამოა 46), ჰუგლანდი (პოულსენი 62), ბაუმიუპანი (სანდი 46), დელურა (აილტონი 62), ჰესე.*

ბუნდესლიგიდან არგავარდნისთვის მებრძოლი „ფრაიბურგი“ კი მზიურ პორტუგალიაშია და იქაურ ქალაქ ალგარვეში მეორე ბუნდესლიგის „აინტრახტს“ ეპაექრა ტესტ-მატჩში, რომელიც 0:0 დამთავრდა. „ფრაიბურგს“ ორი ახალწვეული ჰყავს და ორივე მცველია — ოთარ ხიზანეიშვილი და ანდრეას იბერცბერგერი. ფოლკერ ფინკემ მატჩის შემდეგ თქვა, ამ შეხვედრაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ გამოჩნდა ჩვენი ახალწვეულების უნარი — მათ ორთაბრძოლები კარგად ეხერხებათ.

„აინტრახტი“ ერთადერთხელ დაემუქრა „ფრაიბურგის“ კარს და ფინკეს გუნდი რიხარდ გოლცმა იხსნა მატჩის პირველ წუთებზე. მთლიანობაში „ფრაიბურგის“ დაცვამ კარგად ითამაშა, ხიზანეიშვილი ცენტრალურ მცველად იყო გამწესებული.

„აინტრახტთან“ არ უთამაშია ლევან ცქიტიშვილს — მას გრიპი შეეყარა, თუმც დღეს „დუისბურგთან“ ვინძლო ითამაშოს.

კიდევ ის, რომ „ფრაიბურგის“ ვებგვერდის ცნობით, შეხვედრა უხარისხო მინდორზე გაიმართა და გუნდმაც კომბინაციური თამაში ვერ მოახერხა. „ფრაიბურგმა“ ეს ფეხბურთელები გაიყვანა „აინტრახტთან“: *გოლცი (რაინჰარდი 46), რიტერი (შუმანი 46), მოჰამადი (დოარა 46), **ხიზანეიშვილი** (მიულერი 46), იბერცბერგერი (ბერნერი 46), ჰერმელი (კონდე 46), ანტარი (ჰოლმანი 60), კულიბალი (კრუპკე 46), კაირო (ტანკო 46), **იაშვილი** (დორნი 46), სანუ (პიტროიპა 78).*

დავით თავართქილაძე



ლევან კობიაშვილის ზუსტ პასებს გოლები არ მოჰყოლია

ქართველი ლეგიონერების უმეტესობა ახლა შეკრებაზეა, თუმც ისეთებიც მოიძებნებიან, გაგანია ჩემპიონატში რომ თამაშობენ. ჩვენც წვრილ-წვრილ ქართულ-ევროპულ ამბებს შემოგთავაზებთ...

კალაძე: ლაპარაკები, ლაპარაკები...

ახალ წელს გუნდთან ერთად ვერ შეხვდა კახა კალაძე. „მილანი“ ტრავმირებული ქართველი მცველის გარეშე აგრძელებს სკუდეტოსთვის ბრძოლას, თუმც საამსაქმოდ მნიშვნელოვანი ორი ქულა გუშინწინ პალერმოში დატოვა.

კალაძეზე კი უფრო და უფრო ალაპარაკდნენ — მთავარი თემა მისი სხვა გუნდში გადასვლაა. იტალიელი ჟურნალისტები ძირითადად ინგლისური კლუბების ინტერესზე ამახვილებენ ყურადღებას და ვარიანტებიც კი ჩამოწერეს — „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“ ან „ჩელსი“.

უიღბლობა დასჩემდა „რეინჯერსსაც“. „ჩაფრებმა“ ვერც პრემიერლიგაში მოიგეს (1:1 „დანდი იუნაიტედთან“) და ასოციაციის თასის მეთექვსმეტედფინალშიც დაეჩაგვრინენ „სელტიკს“. ამ მატჩში ტრავმირებულ ***შოთა არველაძეს*** არ უთამაშია, ***ზურაბ ხიზანიშვილმა*** კი 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

ლიდერობა დაკარგა „ანართოსისმაც“. ფამაგუსტელები ***ქებაძე-ანჩაბაძის*** „პარალიმნის“ ესტუმრნენ დ 1:1 დაუზავდნენ. ჩვენებურთაგან ***თემურ ქეცბაია*** გამოირჩა საგოლე პასით. მისი „ანართოსისი“ კი მეორე ადგილზეა და სამი ქულით ჩამორჩება აპოელ-ს.

ყველაზე კარგად ახალი წელი ლევან მაღრაძემ „აღნიშნა“. მისმა „ქსანთიმ“ ორ ტურში ექვსი ქულა აიღო და მეოთხე საფეხურზე აინაცვლა. ოფი-ს 2:1 დამარცხებაში მაღრაძის ფეხი არ ურევია; აი, „კალითეასთან“ 3:2 მოგება კი ჩვენებურის აქტიურობამაც განაპირობა — ლევანი შეტევებში სახიფათო ჩართვით გამოირჩა და ერთხელ გოლის გატანაც შეეძლო.



ნაახალწლევს „ქართულ“ გუნდთაგან ყველაზე მეტად ლევან მაღრაძის (მარცხნივ) „ქსანთი“ გამოირჩა

კახა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	ლეჩე 5:2	0	ტრავმირებულია	9	1	2
	მილანი	ს	პალერმო 0:0	0	ტრავმირებულია	9	1	2
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	ს	დანდი იუნ. 1:1	65	შეცვალეს	16	4	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	ს	დანდი იუნ. 1:1	90		14	0	2
შოტლანდია. ასოციაციის თასი								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	ს	სელტიკი 1:2	0	ტრავმირებულია			
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	ს	სელტიკი 1:2	90				
საბერძნეთი. ეროვნული ლიგა								
ირაკლი ვაშაკიძე	არისი	შ	პანიონიოსი 1:0	0		3	0	13
	არისი	ს	ირაკლისი 0:0	0		3	0	13
ლევან მაღრაძე	ქსანთი	შ	ოფი 2:1	0		11	0	4
	ქსანთი	ს	კალითეა 3:2	90		12	0	4
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	ს	პარალიმნი 1:1	90	საგოლე პასი	12	4	2
გიორგი ქინქლაძე	ანართოსისი	ს	პარალიმნი 1:1	90		11	2	2
კლიმენტი წიტაიშვილი	ანართოსისი	ს	პარალიმნი 1:1	69	შეცვალეს	13	4	2
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	ს	პარალიმნი 1:1	0		2	0	2
დავით ჩალაძე	ანართოსისი	ს	პარალიმნი 1:1	16	შეცვლაზე ითამაშა	9	2	2
ლევან ქებაძე	პარალიმნი	შ	ანართოსისი 1:1	90		13	4	9
გიორგი ანჩაბაძე	პარალიმნი	შ	ანართოსისი 1:1	90		11	2	9
გიორგი ქორიძე	ოლიმპიაკოსი	შ	აპოელი 1:2	63	შეცვალეს	8	1	6

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ნახევარსაათიანი სირაძე



დავით სირაძემ მეორე ბუნდესლიგის პირველი ნახევარი მაჟორულ ნოტაზე დაასრულა. ბოლო ტურში მისმა „ტრირმა“ „ზაარბრიუკენს“ 2:1 რომ აჯობა, ერთი გოლი ჩვენებურმა ჩაიწერა თავის ანგარიშზე. თანაც ეს მატჩი ერთადერთი იყო, რომელიც სირაძემ ძირითადში დაიწყო.

სეზონის განახლებამდე კი „ტრირი“ საქმეში ანუ ამხანაგურ მატჩებშია.

პაულ ლინცის ბიჭებმა ჯერ ჰოლანდიურ „დენ ბოსხთან“ 1:3 წააგეს, მაგრამ გუშინ ბუნდესლიგის ტრიუმფატორ ბრემენის „ვერდერს“ ბდღვირი ადინეს და 5:1 გაანადგურეს. ისიც სათქმელია, რომ ბრემენელებს რამდენიმე ლიდერი (მიკუ, ერნსტი, ისმაელი) აკლდათ.

სირაძე ორივე შეხვედრაში 61-ე წუთზე შევიდა მინდორზე. „დენ ბოსხთან“ მატჩში სერბი პეკოვიჩი, ხოლო „ვერდერთან“ შეხვედრაში „ტრირის“ მთავარმეგოლე ნიკო პაჩინსკი შეცვალა.

ილია ნანობაშვილი

„რეალში“ ახალი ერა დადგა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ვანდერლეი ლუშემბურგო მწვრთნელის პოსტზე გაცილებით მეტ ხანს გაძლებს, ვიდრე მისი წინამორბედნი — მარიანო გარსია რემონი, ხოსე ანტონიო კამაჩო და კარლუშ კეიროში. თანაც ლუშემბურგოს მეფუნთუშის იერიც არ აქვს და ამდენად ვისენტე დელ ბოსკეს ბედიც არ უნდა ეწიოს

გამოფხიზლდით!

ლუშემბურგო შენებას იწყებს, რაიკარდი აშენებულს უფრთხილდება



ლუშემბურგოს ისეთი დებიუტი ჰქონდა, უკეთესს ვერ ინატრებდა. ჯერ 7-წუთიანი მატჩი მოიგო „სოსიედადთან“, ამ უქმეებზე კი მადრიდულ დერბიშიც გამარჯვებული დარჩა. შედეგად, ლიდერ „ბარსელონას“ „რეალი“ უკვე შვიდი ქულით ჩამორჩება და რაკი წინ კიდევ 20 ტურია, ეს შვიდი ქულა არც ისე ბევრია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, თუმცა...

„ატლეტიკოსთან“ აღებული სამი ქულით კმაყოფილი ვარ. ჩვენ სამი მომენტი გვქონდა და სამივე გამოვიყენეთ, მაგრამ ცხადია, სულაც ვერ ვიქნები კმაყოფილი ჩვენი თამაშით — თქვა „ვისენტე კალდერონის“ საპრესკონფერენციო დარბაზში ლუშემბურგომ — ჩვენ გუნდური ერთიანობა გვაკლია, რაც მხოლოდ მუდმივი და თავდაუზოგავი შრომით მიიღწევა“.

ის, რომ „რეალმა“ „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ ძალიან ცუდად ითამაშა, იკერ კასილიასის კომენტარიდანაც ჩანს: „სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდი რა მოხდა. 3:6 რომ წაგვეგო, ნაღდად ვერ დავიწუწუნებდით და უიღბლობაზე ვერ ვილაპარაკებდით.“

„ატლეტიკოს“ მწვრთნელმა სესარ ფერანდომ კი თქვა: „ფეხბურთი არაპროგნოზირებადი სპორტია, ანგარიში კი ყოველთვის არ ასახავს თუ რომელმა გუნდმა უკეთესად ითამაშა. მეტოქემ სულ სამჯერ დაარტყა ჩვენს კარში და სამი გოლი გაგვიტანა. საქმე ის არის, რომ „რეალს“ საუკეთესო შემსრულებლები ჰყავს, იმათ მილიონებს იხდიან იმ ფეხბურთელებში, რომლებიც საგოლე მომენტებს არ აფუჭებენ.“

„რეალის“ გამარჯვების მიუხედავად, ორმაგი ფასი დადო „ბარსელონას“ დამარცხების გამო და ამიტომ აქვე „ბარსას“ მწვრთნელის, ფრანკ რაიკარდის კომენტარიც მოვისმინოთ „ვილარეალთან“ მატჩის მერე: „ვილარეალმა“ მოგება დაიმსახურა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. რიკელმე კი შეუდარებელი იყო. მეტოქემ აგრესიული თამაშის გაკვეთილი ჩაგვიტარა. რა თქმა უნდა, გული დაგვწყდა, 2005 წელი წაგებით რომ დავიწყეთ, მაგრამ ეს ეგებ კარგიც იყოს, ჩვენი ფეხბურთელები გამოფხიზლდებიან და [illegible] დაინახავენ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა ახლა იწყება.“

ქოტე ქექელია

ორგოლა რონალდოს რეალი მოეწონა

ბრაზილიელმა რონალდომ მადრიდულ დერბიში „ატლეტიკოს“ ორი გოლი გაუტანა და „რეალი“ მორიგი სამი ქულით გაამდიდრა. კიჟა „ათლეტებთან“ გამარჯვებით ბედნიერია, ახლადდანიშნული ბრაზილიელი მწვრთნელის, ვანდერლეი ლუშემბურგოს სიბრძნისა სჯერა და დარწმუნებულია, რომ „რეალი“ დღევანდელ ლიდერ „ბარსას“ პირველობას ჩამოართმევს. რონალდოს მადრიდული AS-ი ესაუბრა

— დერბიში შესანიშნავად ითამაშეთ, თქვენმა ორმა გოლმა „რეალს“ საჭირო სამი ქულა მოუტანა...

— მატჩის ბედი მარტო მე არ გადამიწყვეტია. უბრალოდ, მოედანზე ჩემი საქმე კარგად შევასრულე — მოხარული ვარ, რომ გოლების გატანა შევძელი. სახიფათო მომენტები მეტოქეზე უკეთ გამოვიყენეთ და „რეალმა“ სამი ქულა დამსახურებულად მოიპოვა. თუმც ვაღიარებ, რომ „ატლეტიკოს“ თამაშის გადარჩენის შანსი მრავლად ჰქონდა.

— მოკლედ, „ათლეტებთან“ მატჩით კმაყოფილი ხართ...

— დიახ. ორი მნიშვნელოვანი ბურთი შევაგდე, მაგრამ მომდევნო თამაშებშიც ასე უნდა გავისარჯოთ, რადგან „ბარსას“ ჯერ კიდევ შვიდი ქულით ჩამოვრჩებით. დარწმუნებული ვარ, ამ დისტანციას მალე შევამცირებთ. ვფიქრობ, კატალონიელები კიდევ დაკარგავენ ქულებს, ჩვენ კი არა.

— **ვანდერლეი ლუშემბურგო ერთი კვირაა, რაც „რეალს“ წვრთნის. გუნდს უკვე დაეტყო თქვენი თანამემამულე მწვრთნელის ხელი?**

— ლუშემბურგოს ხელწერა გუნდს უკვე ეტყობა. მწვრთნელმა ამ კვირის განმავლობაში ტაქტიკურად კარგად იმუშავა და რა გასაკვირია, რომ მადრიდულ დერბის ორგანიზებულად შევხვდით. შეტევაშიც და დაცვაშიც ბიჭებმა ადრინდელზე გაცილებით უკეთ ითამაშეს.

ლუშემბურგო დიდი მწვრთნელია და ამას მადრიდის „რეალშიც“ დაამტკიცებს. მას მშვიდად მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ, შედეგი კი უეჭველად დადებითი იქნება. ვანდერლეის უპირატესობა მისი კარგი ფეხბურთელისადმი სიყვარულია. თუმცა ყველაფერი დამრიგებელზე არ არის დამოკიდებული, ფეხბურთელებიც მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ.

— **მომავალ ტურში „სარაგოსას“ ეთამაშებით...**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით, უპირველეს ყოვლისა, კოპა დელ რეის მატჩზე უნდა ვიფიქროთ, „სარაგოსასთან“ ჯახს კი მერე დავგეგმავთ. ზედმეტი აჩქარება კარგს არაფერს მოგვიტანს, დიდ ჯილდოებს ოდენ ნაბიჯ-ნაბიჯ, დაკვირვებული მოქმედებებით თუ მოვიპოვებთ. მთავარია, მომავალშიც უშეცდომოდ ვითამაშოთ, „ატლეტიკოს“ მერე სულიერად უფრო ძლიერები გავხდით.

არიგო საკი და ემილიო ბუტრაგენიო სატრანსფერო ბაზარზე ხელგაშლილად ვერ ივაჭრებენ

პერესმა საკის ევროები დაუმალა

მადრიდის „რეალის“ სპორტული დირექტორი, იტალიელი არიგო საკი საკუთარმა პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა იანვრის სატრანსფერო ბაზართან დაკავშირებით ფრიად რთულ ვითარებაში ჩააგდო. საქმე ის გახლავთ, რომ კასტილიელთა მომჭირნე თავკაცმა იტალიელს ახალი საყრდენი ნახევარმცველის შესაძენად ოდენ 2,9 მილიონი ევრო მისცა, რაც, ცხადია, მადრიდულ ცაზე მორიგი დიდსაფეხბურთო „გალაქტიკოს“ ანთებისთვის საკმარისზე ბევრად ნაკლებია. ამგვარად, სინიორ პერესის ხარჯთაღრიცხვის შემხვედვარე დირექტორმა საკიმ და ვიცე-პრეზიდენტმა ბუტრაგენიომ იანვარში ფეხბურთის დაუწერელი კანონის გათვალისწინებით „ბერნაბეუზე“ ნაკლებად ცნობილ მოთამაშეს უნდა მოუხმონ, რამეთუ 2,9 მილიონ ევროდ არც ერთი მეგავარსკვლავი კასტილიურ გრანდში ბურთაობაზე თანხმობას არ განაცხადებს.

დღლისთვის „რეალის“ უფროსობას გუნდში ცარიელი ადგილის შესავსებად რამდენიმე კანდიდატურა ჰყავს — „ლიონის“ მიშელ ესიენი, „ბორდოს“ რიო მავუბა და ინგლისური „ევერტონის“ ტომას გრავესენი (ეს უკანასკნელი ემილიო ბუტრაგენიოს ფავორიტია). ესპანურ მედიაში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით, საკი და კომპანია ხსენებულ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, თუმც ვინძლო, ფლორენტინოს მიერ დაწესებულ ლიმიტში ჩატევა საკმაოდ გაუჭირდეთ.

ლადო ხომერიკი

პორტუგალია

სუპერლიგა
XVI ტური
ლეირია 0:0 მარიტიმუ

სპორტინგი	16	9	4	3	35:20	31
პორტუ	16	8	6	2	22:10	30
ბოავიშტა	16	9	3	4	20:17	30
ბრაგა	16	8	5	3	24:13	29
ბენფიკა	16	8	4	4	24:18	28
სეტუბალი	16	7	3	6	21:19	24
ლეირია	16	5	8	3	18:15	23
მარიტიმუ	16	5	8	3	17:15	23
რიუ ავე	16	4	10	2	21:19	22
ჟილ ვისენტე	16	5	4	7	18:18	19
გიმარაეში	16	5	4	7	16:18	19
ბელენენსეში	16	5	3	8	25:24	18
ეშტორილი	16	5	3	8	19:22	18
ნასიონალი	16	5	3	8	17:24	18
პენაფიელი	16	5	2	9	17:30	17
მორეირენსე	16	3	6	7	15:24	15
ბეირა მარი	16	3	5	8	19:33	14
აკადემიკა	16	3	3	10	14:23	12

მონტელა სკამზე იჯდა და ცეცხლი ეკიდა

ვინჩენცო მონტელა, ვინაც სერია A-ს ბოლო ტურში ორი გოლი გაუტანა „ატალანტას", ბომბარდირთა სიას სათავეში ჩაუდგა, ოღონდ დავაზუსტოთ, რომ მისებრ 14 გოლი ინტერელ ადრიანოსაც აქვს გატანილი

ბომბარდირობა, მით უმეტეს სერია A-ში, მოგეხსენებათ, უბრალო ამბავი არ არის, მაგრამ მონტელა, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, ამბობს, მთავარია, „რომამ" მოიგოს და გოლებს ვინ გაიტანს, რა მნიშვნელობა აქვსო.

„ბოლო ხანს კარგად ვთამაშობთ და ახლა უნდა ვეცადოთ, ამ გზიდან არ გადავუხვიოთ. სეზონის დასაწყისში ბევრს ლაპარაკობდნენ, ფაბიო კაპელოს წასვლის მერე რა ეშველებოდა „რომას". სიმართლე გითხრათ, ჩვენც, ფეხბურთელებიც ბევრს ვფიქრობდით ამაზე. მერე კი მივხვდით, რომ აქ საფიქრელიც არაფერია. კაპელო წავიდა და ახალი ცხოვრება დაიწყო. აშკარად ვატყობ, რომ როგორც კი წარსულზე ფიქრს შევეშვით და აწმყოსა და მომავალზე გადავერთეთ, ჩვენი საქმე უკეთესადაა".

მერე მონტელამ კაპელოს მემკვიდრეზე, ლუიჯი დელ ნერიზეც ილაპარაკა: „აღფრთოვანებული ვარ დელ ნერის გადაწყვეტილებით, მე, კასანოს და ტოტის ერთად რომ გვათამაშებს. თითოეულ ჩვენთაგანს ჩვენი უნიკალური თვისებები გაგვაჩნია, რომელთა შერწყმით საუკეთესო შემტევ ტრიოს ვილებთ."

ბოლოს მონტელამ რომაულ დერბიზეც თქვა, რომელიც „ლაციომ" მოიგო, თავად კი დისკვალიფიკაციის გამო გამოაკლდა: „თქვენ ალბათ გგონიათ, რომ ასეთ მატჩებში მოედანზე მყოფ ფეხბურთელებს ძალიან უჭირთ, ხოლო ტრიბუნაზე ვინც ზის, მისთვის ყურება იოლია. გარწმუნებთ, ასე არ არის. როგორი საყურებელია, როცა გრძნობ, რომ გუნდს სჭირდები, დახმარება კი არ შეგიძლია. ამიტომაც იმ დერბისას დაგროვილი ენერგია „ატალანტასთან" გამოვიყენე და შედეგსაც მივაღწიეთ."

ირაკლი ნინიძე

გავიხსენოთ: კვირას „ინტერი" „სან სიროზე" 88-ე წუთამდე 0:2 აგებდა „სამპდორიასთან" და საბოლოოდ 3:2 მოიგო

მანჩინის სასწაულის სჯეროდა



ახლა „ინტერის" მწვრთნელის რეაქციას მივადევნოთ თვალ-ყური. მან თქვა, შოკირებული ვიქნებოდი, ის მატჩი რომ წაგვეგოო. საინტერესოა, არა?

რობერტო მანჩინი: „0:2 ვაგებდით და სიმართლე გითხრათ, ვერ ამიხსნია, როგორ მოვახერხეთ ამ გოლების გაშვება. მთელი მატჩის განმავლობაში ვუტევდით და მომენტს მომენტზე ვქმნიდით, დაცვასაც არ ვივიწყებდით. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ვერ ამიხსნია, ანგარიში 0:2 როგორ იყო. და მიუხედავად ანგარიშისა, არ მჯეროდა, რომ წავაგებდით. ახლაც ყურში ჩამესმის, მეორე რომ გაგვიტანეს, ჩემს უკან ტრიბუნიდან ვიღაცამ დამიყვირა, ახლაც გჯერა მოგებისო?! გული მწყდება, რომ გულშემატკივარი, რომელიც გამარჯვებაში უნდა დაგეხმაროს, ხანდახან შენს ყველაზე დიდ მტრად იქცევა ხოლმე."

ირაკლი ნინიძე

შექმნა შეუძლიათ, შეგდება არა

ანჩელოტი მაისით იმუქრება

„მილანმა", როგორც იცით, გუშინწინ ვერაფერი მოუხერხა „პალერმოს", რის გამოც „იუვენტუსს" ისევ ოთხი ქულით ჩამორჩება, თუმცა კარლო ანჩელოტი უხასიათობას არ უჩივის.

„ჩვენ კარგად ვითამაშეთ, მეტოქეც ძალიან ძლიერი გვყავდა და ამიტომ უკმაყოფილო არ ვარ — თქვა მატჩის მერე პრესკონფერენციაზე „მილანის" მწვრთნელმა — ამ მატჩმაც გვაჩვენა, რომ საგოლე მომენტების შექმნა შეგვიძლია, უბრალოდ მეტი სიზუსტე გვმართებს, რასაც დარწმუნებული ვარ, მივაღწევთ. გულახდილად გეტყვით, არ მადარდებს, საშემოდგომო ჩემპიონი „იუვენტუსი" რომ გახდა, მთავარია, მაისში ვინ იქნება პირველ ადგილზე".

იმავე პრესკონფერენციაზე პალერმოელთა მწვრთნელმა ფრანჩესკო გვიდოლინმა თქვა: „მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა. შესაძლოა, „მილანი" უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ რომ მოგვეხერხებინა და მოგვეგო, სავსებით დამსახურებული გამარჯვება იქნებოდა."

ირაკლი ნინიძე

კაცი სიკვდილის კართან

გაზა შიდსით შეაშინეს

პოლ გესკოინი, უბრალოდ გაზა, სრულ პანიკაშია: ის შიშობს, რომ შიდსი აქვს. ათი დღის წინათ გაუვლია ტესტი, ოღონდაც, ეს ამბავი შობა-ახალ წლის არდადეგებს დაემთხვა და პასუხს ჯერაც ელის.

შიდსის ტესტის გავლა გაზასთვის ექიმებს ურჩევიათ, რახან ფილტვების ანთება დამართნია შობის წინა დღეებში, ორი კვირით ადრე კი ასევე ჰოსპიტალში წოლილა მთელი კვირით, რაც მედიისთვის საიდუმლოდ შეუნახავთ. მისი აგენტის, ალექს არიტიჯის თქმით, გაზას ჯანმრთელობა სანიმუშო სულაც არ არის და ის ახლაც ლონდონის „პრინსეს გრეისის" ჰოსპიტალშია, სადაც განუყრელი მეგობარი, ჯიმი „ხუთხარა" გარდნერი ადგას თავს.

ექიმებმა შიდსის ტესტი იმიტომ მოსთხოვეს პოლს, რომ მის გახშირებულ ავადმყოფობაში ეს უმძიმესი ვერსია გამორიცხონ. გაზა კი ბოლო ხანს ისე ავადმყოფობს, რომ ნაირგვარ საშობაო შოუებშიც ვერ ჩაება.

გასულ ზაფხულს ის კინაღამ მომკვდარა და სასწრაფო ოპერაციაც გაუკეთებიათ ნაწლავების ანთების გამო. მანამდე ის საჭმლით მოწამლულა ნიუკასლში.

მანამდე, 2003 წლის ზამთარში გაზა ლონდონის ერთ-ერთ ჰოსპიტალში იწვა გამოკვლევაზე, მერე კი არიზონის კლინიკაში ლოთობას აგდებდა. იყო დროს, გაზა დღეში სამ ბოთლ ვისკის სვამდა, კაზინოების პატრონებთან კი ქაღალდები ჰქონდა გაფორმებული, თუ ბევრის წაგებას დავიწყებ, თქვენი სათამაშო სახლიდან გამაგდეთო.

მერე გაზა ძლიერ ანტიდეპრესიულ წამლებს სვამდა. ის ამბობდა: „სიკვდილი მინდა. იმდენს დავლევ, რომ სიკვდილის კარამდე მივიდე".

ირაკლი გამყრელიძე

რეიესი ტორესს ითხოვს

არსენალელ ხოსე ანტონიო რეიესს სურს, „ჰაიბერიზე" თანამემამულე ფერნანდო ტორესი იხილოს. „არსენ ვენგერს ვუთხარი, რომ კარგი იქნებოდა, თუ მომავალი სეზონისთვის „ელ ნინიოს" გუნდში ჩარიცხავს. ფერნანდო ფენომენალური ფეხბურთელია და შეუძლია, „არსენალს" დიდი წარმატებები მოუტანოს" — აღნიშნა „სევილიას" ყოფილმა ვარსკვლავმა ერთერთ ლონდონურ გაზეთთან საუბარში.

რეიესმა ჟურნალისტებთან მადრიდის „ატლეტიკოს" ფორვარდზე საქებარი სიტყვები არ დაიშურა — „იგი დღეს ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელია, ხოლო უახლოეს ხანში მსოფლიოს საუკეთესო გახდება".

შევნიშნოთ, რომ ფერნანდო ტორესის ხელში ჩაგდება სერ ალექს ფერგიუსონსაც სურს და რეიესიც ამიტომ ამბობს: „ტორესის საქმეზე უნდა ვიჩქაროთ, არ მინდა, რომ იგი „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდეს".

ლადო ხომერიკი

საფრანგეთი

თასის 1/16 ფინალის წილისყრა

ნიმი — აიაჩო; რომარანტინი — კევილი; ლიბურნი — მონაკო; რონ-ვალე — გრენობლი; პსჟ — ბორდო; კლერმონი — ტულონი; რენი — კაენი; ბულონი — ბლუა; სედანი — მონტანარდე; ვანი — ოსერი; ლილი — ლანსი; საუმური — ნანტი; ნიცა — რეიმსი; ალბი — ანჟე; ტულუზი — ლიონი; მეცი — სოშო

ბენეფისი და მუზეუმი მარადონასთვის



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეაპოლელი გულშემატკივრები, ცხადია, აღფრთოვანებულები არიან. აბა, ვინ არ იცის, რომ ნეაპოლელთათვის მარადონა ღმერთია. თუმცა იმავ გულშემატკივრებისთვის 30 ოქტომბერი ტკივილნარევი დღეც იქნება, რაკი „ნაპოლი“ — დიდი „ნაპოლი“, დღეს სერია C1-ის გუნდია. სადღა არიან იქ მარადონები.

ბენეფისს მივუბრუნდეთ. ამ მატჩში ერთმანეთის პირისპირ მარადონას დროინდელი „ნაპოლი“ და იმ ვეტერან ფეხბურთელთაგან შემდგარი გუნდი წარსდგებიან, რომელთა წინააღმდეგაც მარადონას უთამაშია.

აქვე ვთქვათ, რომ ახლახან ნეაპოლში მარადონას მუზეუმი გაიხსნა, რომლის შექმნის იდეაც თავის დროზე დიეგოს ყოფილ მეუღლეს, კლაუდია ვილაფანეს გაუჩნდა.

ირაკლი ნინიძე

დიეგო არმანდო მარადონამ თქვა, 30 ოქტომბერს ნეაპოლის „სან პაოლოზე“ ბენეფისი უნდა მოვაწყოო.

„დიეგომ გადაწყვიტა — დაადასტურა მენეჯემა რიკარდო ფუისამ — 30 ოქტომბერს, თავის დაბადების დღეზე, ის ნეაპოლში ფეხბურთს ითამაშებს“.

როტი ცალთვალა ბურთს ემხრობა

რიო კეროლის ამ ეშმაკობამ ევროპა აალაპარაკა

ერთი კვირის წინ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ტოტენჰემის“ მატჩში „მამლებს“ ბოლო წუთზე გატანილი ალალ-მართალი გოლი არ ჩაუთვალეს. საქმე კი ასე იყო: პედრო მენდეშმა თითქმის მოედნის ცენტრიდან დაურტყა კარიდან წინ გამოსულ რიო კეროლს. კეროლმა ბურთს კარის ხაზთან მიუსწრო, მაგრამ ხელიდან გაუვარდა და ხაზიც გადაკვეთა, თუმც მეკარემ წაიშმაკა — ბურთი გარეთ გამოაგდო. ეს მსაჯებმა ვერ შეამჩნიეს და თამაში გააგრძელეს. ამან ხელახლა ააქოთქოთა ფეხბურთის მცოდნენი, ვიდეოგამეორება უნდა შემოვიღოთ, რათა სამართალმა პური ჭამოსო.

უეფას მსაჯთა კომიტეტის თავკაცმა ფოლკერ როტმა განაცხადა: „გამეორების წინააღმდეგი ვარ, რადგან ფეხბურთი სწრაფია და მისი დაქუცმაცება თამაშს დაამახინჯებს. სამაგიეროდ, ვემხრობი ბურთში მიკროჩიპის ჩამონტაჟების იდეას. ამ შემთხვევაში ბურთი კარის ხაზს რომ გადაკვეთს, სიგნალი მსაჯს საგანგებო სამაჯურზე გადაეცემა და სადავოც არაფერი იქნება“.

ახალ ბურთს უეფა თებერვალში, კარდიფში დაგეგმილ ოფიციალურ შეხვედრაზე წარუდგენს მსოფლიოს.

ვაჟა ხუციშვილი

ზამერი ლემანს უმიზნებს





მათიას ზამერის „შტუტგარტი“ „არსენალის“ გერმანელი მეკარის, იენს ლემანის შეძენით დაინტერესდა. „ლემანის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ, იგი ჩინებული გოლკიპერია. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ახლანდელი მეკარე ჰილდენბრანდი კონტრაქტის გაგრძელებაზე უარს იტყვის, „შტუტგარტში“ იენსის მოყვანაზე ვიფიქრებთ“ — განაცხადა ზამერმა.

34 წლის ლემანი ამჟამად ლონდონის „არსენალის“ ძირითადში დასამკვიდრებლად იბრძვის — „მეთოფეთა“ ახალგაზრდა კარის მცველმა, ბასკმა მანუელ ალმუნიამ გერმანელი ვეტერანი სათადარიგოთა სკამზე გაამწესა. დიდი შანსია, იენსი სამშობლოში დააბრუნონ — ალბიონელთა სათადარიგოებში გადასვლას არც ბასკი აპირებს და 26 წლის ტიმო ჰილდენბრანდსაც, ბუნდესნაკრების მესამე მეკარეს, „შტუტგარტში“ კარიერის გაგრძელება გულზე არ ეხატება.

ლადო ხომერიკი

„ნოტინგემ ფორესტის“ მწვრთნელად „ვესტ ბრომვიჩის“ ყოფილი თავკაცი გარი მეგსონი დანიშნეს. 45 წლის სპეციალისტმა გუნდის დროებითი მწვრთნელი მიკ ჰარფორდი შეცვალა

მეგსონი ჩაკიდულ ნოტინგემში ჩავდა

ნოტინგემელები ჩემპიონატში ბოლოდან მეორე ადგილზე არიან, კლუბის თავმჯდომარე ნაიჯელ დაფმა კი თქვა: „ჩვენ ვგრძნობდით, რომ სწორედ ახლა გვჭირდებოდა ცვლილება“.

„ვესტ ბრომვიჩში“ გატარებული ოთხი სეზონის შემდეგ გარი მეგსონი გასული წლის ოქტომბერში გაათავისუფლეს გუნდიდან, რადგან განაცხადა, სეზონის ბოლოს წასვლას ვაპირებო. მან „ვესტ ბრომვიჩი“ მაშინ ჩაიბარა, როცა მეორე დივიზიონში სულს ღაფავდა და ოთხ წელიწადში პრემიერლიგაში აღაზევა, მეგსონს ამჯერადაც იგივე დავალება მისცეს — ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი „ნოტინგემ ფორესტი“ არ უნდა გავარდეს. ნოტინგემელები პრემიერლიგიდან 1999-ში ჩაქვეითდნენ და მას აქეთ ამაოდ ცდილობენ უძლიერესთა შორის დაბრუნებას.

გარი მეგსონი ფეხბურთელობისას ნახევარმცველი იყო და 1984 წელს ოთხი თვე დაჰყო „ნოტინგემში“ აწ გარდაცვლილი ბრაიან კლაფის ხელქვეით, მაგრამ არ უთამაშია. მეგსონმა „შეფილდ უენსდი“, „ეკერტონი“, „მანჩესტერ სიტი“, „ნორვიჩი“ და „ნიუკასლი“ მოიარა, ხოლო სამწვრთნელო კარიერა „ნორვიჩში“ დაიწყო. „ვესტ ბრომვიჩში“ მისვლამდე „ბლეკბერნში“, „სტოკპორტსა“ და „სტოკში“ მუშაობდა.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

მიუნხენი-მარსელი-მიუნხენი

მაგათმა ლიზარაზუ დუბაიში დაღალა

ბიქსენტ ლიზარაზუ „მარსელის“ მწვრთნელ ფილიპ ტრუსიეს ეჩხუბა და მიუნხენის „ბაიერნში“ დაბრუნდა. ამბობენ, ფიცხმა ბასკმა ტრუსიეს კიდეც წაუთაქაო. ზაფხულში „ბაიერნიდან“ „მარსელში“ ნახევარი წლით წასულ ლიზარაზუს მაშინდელ თავკაც ჟოზე ანიგოსთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა და ბედს არ უჩიოდა, მაგრამ ფილიპ ტრუსიეს მისვლის დღიდან ყველაფერი შეიცვალა. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელყოფილი სათადარიგოთა სკამის სახეხად გაიმეტეს, რაც ლიზარაზუმ ვერ მოითმინა. მიუნხენის „ბაიერნი“ ამჟამად დუბაიშია. „კიკერის“ კორესპონდენტმა იქ ჩააკითხა ფეხბურთელს და მსუყე ინტერვიუც შედგა.

— მიუნხენში ჩამოსვლა შინ დაბრუნებას ჰგავდა?

— ემოციურად ძალიან დავიმუხტე და თავი ბედნიერად ვიგრძენი.

— როგორ დაგხვდნენ?

— გადასარევად. ნახევარი წლით კი არა, იფიქრეს ორი დღით წავედი მიუნხენიდან.

— „მარსელში“ გადასვლა შეცდომა ხომ არ იყო?

— ძალიან ასეც არაა საქმე. ჟოზე ანიგოს დროს საპრეტენზიო არაფერი მქონდა, მაგრამ ტრუსიემ ამითვალწუნა და მასთან ურთიერთობა წამიხდა.

— ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნება სცადე?

— კი, მაგრამ ძნელია, როცა მწვრთნელთან ვერ რიგდები. დეკემბერში ერთი მატჩიც არ ითამაშია და ფილიპ ტრუსიემ უთამაშებლობის მიზეზი არც ამიხსნა, ამიტომ „ბაიერნში“ დაბრუნება ჩემთვის შვებაა.

— გასულ ზაფხულს აქედან იმიტომ წახვედით, რომ კლუბთან ჯამაგირის ოდენობაზე ვერ შეთანხმდით. ახლა როგორაა საქმე?

— ფული წასვლის ერთადერთი მიზეზი არ იყო. სხვა, პირადული პრობლემებიც ამოტივტივდა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა.

— რამდენ ჯილდოს უმიზნებთ?

— ექვსი თვე დამრჩა „ბაიერნში“ სათამაშო და ვფიქრობ, სამივე ჯილდოს (ბუნდესლიგა, გერმანიის თასი, ჩემპიონთა თასი) მოგება შეგვიძლია. ეს ერთგვარი გამოწვევაა ჩემთვის.

— თქვენი კონტრაქტი ივნისში იწურება...

— კონტრაქტის გაგრძელებაზე ამჟამად არ ვფიქრობ. მსურს, რომ ფეხბურთს უმაღლეს დონეზე გამოვემშვიდობო. ამის საშუალებას ევროპის 5-6 კლუბი თუ მოგცემს. მათ შორისაა „ბაიერნი“.

— ამ სეზონში „ბაიერნის“ თამაში გინახავთ?

— არა, მაგრამ ფელიქს მაგათს ვესაუბრე და ტაქტიკა დაწვრილებით ამიხსნა. მწვრთნელს ახლა კიდევ ერთი კარგი მარცხენაფლანგელი შეემატა — ბიქსენტ ლიზარაზუ.

— 35 წლის ხართ და ბუნდესლიგაში თამაში ხომ არ გაგიჭირდებათ?

— ჯანი არ მღალატობს. ფორმის შესანარჩუნებლად მუდმივად ვვარჯიშობდი. ნაკრებში აღარ ვარ და მთლიანად „ბაიერნისთვის“ დავიხარჯები.

— დუბაიში ჩასვლისთანავე მაგათი ოთხსაათიანი ვარჯიშით გაგიმასპინძლდათ, ხომ არ ნანობთ, რომ „ბაიერნში“ დაბრუნდით?

— მაგათისებურ ვარჯიშებზე ადრეც ბევრი მსმენია და ამიტომ ასეთი დატვირთვა მოულოდნელი არ ყოფილა.

— რა მოხდება, აქაც სათადარიგოთა სკამზე რომ აღმოჩნდეთ?

— მწვრთნელი კარგად იცნობს ჩემს შესაძლებლობებს, მე კი დაუზარელად ვივარჯიშებ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად.

— თქვენს მაისურას 69 აწერია, რატომ?

— სამნომრიანი მაისურა მინდოდა, მაგრამ მას ლუსიო დაეპატრონა. 35-იანს, ანუ ჩემი ასაკის აღმნიშვნელ სამოსს მაძლევდნენ და თავად ვიუარე, ბოლოს კი 69 ვირჩიე, რადგან 1969 წელს დავიბადე, 169 სანტიმეტრი ვარ და 69 კილოს ვიწონი.



კამერუნმა ჟორჟე გამოაცხადა

პორტუგალიელს ჩოგბურთელიც ურჩევს

პორტუგალიისა და შვეიცარიის ნაკრებთა ყოფილი მწვრთნელი არტურ ჟორჟე კამერუნის ნაკრების თავკაცად დანიშნეს. არტურ ჟორჟემ, რომელსაც საკლუბო დონეზე „პორტუში“, პსჟ-ში და მოსკოვის ცსკა-ში უმუშავია, გერმანელი ვინფრედ შეფერი შეცვალა. შეფერი შარშან ნოემბერში ცუდი შედეგების გამო გაათავისუფლეს. „ახალი მწვრთნელის ამოცანაა, კამერუნის ეროვნული გუნდი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე და აფრიკის ეროვნებათა თასზე გაიყვანოს“ — განაცხადა ქვეყნის სპორტის მინისტრმა ფილიპ მბარგა მბოამ.

არტურ ჟორჟეს თანაშემწეთა შორის იქნება ყოფილი ჯამბაზ-მეჩოგნე იანიკ ნოა, რომელსაც კამერუნელი მამა და ფრანგი დედა ჰყავს. ნოა პორტუგალიელი თავკაცის მრჩეველად იმუშავებს.

ჟორჟე იაუნდეში ამ კვირაში ჩავა და საგანგებო პრესკონფერენციას გამართავს. კამერუნის ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილზეა კოტ დივუარისა და ლიბიის შემდეგ. გერმანიაში გასამართი მუნდიალის საგზური კი მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებულს ერგება.

ვაჟა ხუციშვილი

ისტრი ორთავიანი გახდა

ბაზდარევიჩი ბორდომ წაიღო

„ისტრის“ მწვრთნელი მეჰმედ ბაზდარევიჩი გუშინ გაათავისუფლეს. საფრანგეთის თასზე „ბორდოსთან“ (0:2) მარცხის შემდეგ კლუბის ბოსებმა ბაზდარევიჩი დაითხოვეს და მისი ადგილი ორ კაცს ჩააბარეს. „ისტრის“ ყოფილი ფეხბურთელები ქსავე გრაველენი და ჟან ლუი გასეტი გუნდს დროებით გაუძღვებიან.

„პირველ დივიზიონში საკმაო გამოცდილება შევიძინეთ და ვფიქრობ, რომ უძლიერესთა შორის დარჩენის შანსი გვქონდა — განაცხადა ყოფილმა თავკაცმა — თუმც შესაძლოა, ჩემი შეცვლა უფრო წაადგეს გუნდს“.

„ისტრი“ პირველ დივიზიონში შარშან, არსებობის ისტორიაში პირველად აღზევდა, მაგრამ 19 ტურში მხოლოდ ერთი მატჩის მოგება შეძლო. ბოსნიელმა მეჰმედ ბაზდარევიჩმა გუნდი 2003 წლის ივნისში ჩაიბარა და წლისთავზე სასწაული გამოაცხო.

ფეხბურთლობისას ბოსნიელს „სოშოში“ და „ნანტში“ უთამაშია. 44 წლის ბაზდარევიჩი ამ სეზონში რიგით მეხუთე მოხსნილი მწვრთნელია. მანამდე „სტრასბურის“, „აიაჩოს“, „მარსელისა“ და „ნანტის“ თავკაცები დაიფრინეს.

ვაჟა ხუციშვილი

დონადონის ლივორნო ანდეს



„ლივორნოს“ მწვრთნელი ფრანკო კოლომბა გუშინ „მილანის“ ყოფილი ფეხბურთელით, რობერტო დონადონით შეცვალეს. გასულ ტურში ტურინში „იუვენტუსთან“ 2:4 მარცხის შემდეგ „ლივორნო“ მეოთხუთმეტე ადგილზე დაეშვა, მაგრამ მწვრთნელის შეცვლა მაინც მოულოდნელი იყო. ტოსკანიური გუნდი 1949 წლის შემდეგ პირველად აღზევდა სერია A-ში და იქ არცთუ ურიგოდ თამაშობს.

რობერტო დონადონმ, რომელიც „ლივორნოში“ ორი წლის წინაც მუშაობდა, კლუბთან 18-თვიანი კონტრაქტი გააფორმა. 41 წლის დონადონის არიგო საკის სახელგანთქმულ „მილანში“ უთამაშია, მწვრთნელად „ლივორნოს“ გარდა „ჯენოაში“ უმუშავია, სერია A-ს გუნდი კი პირველად ანდეს.

ვაჟა ხუციშვილი

ამბავი ექსეტერის გმირობისა და მოლხენისა

ინგლისი

ასოციაციის თასი
1/16 ფინალის წილისყრა

დერბი ქაუნთი — უოტფორდი ან ფულემი; მანჩესტერ იუნაიტედი ან ექსეტერი — მიდლსბრო; კარდიფი ან ბლექბერნი — კოლჩესტერი; ჩელსი — ბირმინგემი; ვესტ ჰემი — შეფილდ იუნაიტედი; ოლდემი — ბოლტონი; არსენალი — ვულვერჰემპტონი; ევერტონი — სანდერლენდი; ნოტინგემი — პიტერბრო; ბრენტფორდი — ჰარტლპული ან ბოსტონი; რედინგი ან სუონსი — ლესტერი ან ბლეკპული; ბარნლი ან ლივერპული — ბორნმუთი; საუთჰემპტონი — პორტსმუთი; ვესტ ბრომვიჩი — ტოტენჰემი; ნიუკასლი — ქოვენთრი; ჩარლტონი — იოვილი

მატჩები გაიმართება 29-30 იანვარს



გუშინ და გუშინწინ ექსეტერში დიდი ზეიმი იყო. გულშემატკივრები ხომ ზეიმობდნენ, იქაურ ფეხბურთელებსაც, მენეჯერმა ორშაბათს სავარჯიშოდ რომ უხმო, სულაც არ ჰქონდათ ვარჯიშის განწყობა, ღროსტარების გუნებაზე ბრძანდებოდნენ. ეს ყველაფერი კი ერთმა ფრედ დამთავრებულმა მატჩმა გამოიწვია. ფრე თავისთავად რა ბედენაა, მაგრამ როცა მეტოქე „მანჩესტერ იუნაიტედია“ და „ოლდ ტრეფორდზე“ გოლს ვერ გაიტანს...

ინგლისის ასოციაციის თასზე ასეთი რამეები ხშირად ხდება, განსაკუთრებით კი გათამაშების საახალწლო ეტაპებზე. გამოხტება რომელიღაც პატარა გუნდი და ბობოლას გააგორებს. ასეთებს ინგლისში „ჯაიანთ კილერებს“ ეძახიან, ჩვენებურად, გიგანტთა მკვლელებს.

თუმცა შევიცადოთ: „ექსეტერს“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჯერ არ მოუკლავს და ეგებ გადათამაშებაში იქით მოკვდეს, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს. საქმე უკვე გაკეთებულია, „ექსეტერი“ ამ ახალი წლის გმირი გახდა.

ფულსაც ნუ დავივიწყებთ. ორი წლის წინ, როცა „ექსეტერი“ კონფერენსლიგაში დაქვეითდა, ხუთი მილიონი გირვანქა ვალიც დაედო. კლუბმა რაღაცეები იჯახირა და დღეისთვის გასასტუმრებელი 750 ათასი გირვანქაღა დარჩა. ახლა კი ვთქვათ: „მანჩესტერთან“ ორი მატჩის სატელევიზიო კონტრაქტებიდან „ექსეტერს“ ერთი მილიონი გირვანქა ერგება ანუ კლუბი წელში გაიმართება. ვალებიდან თავის დაღწევა კი პატარა საქმე არ არის.

„დიდებულია! ფინანსურ მდგომარეობასაც გამოვასწორებთ და სიამაყესაც ვიგრძნობთ“ — თქვა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა იან ჰაქსემმა.

თუმცა, ერთი პრობლემა მაინც რჩება. „ოლდ ტრეფორდზე“ „ექსეტერს“ ცხრა ათასი გულშემატკივარი ახლდა, რომელთაგან ბევრი საშინაო გადათამაშებას ვერ დაესწრება. მიზეზი მარტივია: „ექსეტერის“ „სენტ ჯეიმს პარკი“ (ნიუკასლისაში არ აგერიოთ) მხოლოდ 10 ათას მაყურებელს იტევს. ბილეთების 15 პროცენტი კი სტუმარი გუნდის ფანებს ეკუთვნით.

ირაკლი ნინიძე

ჯილარდინო მილანს ერგო

მამა-შვილი ბებერ ქალბატონს მისტირიან

„პარმასა“ და იტალიის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი ალბერტო ჯილარდინო „მილანში“ ითამაშებს. ეს ამბავი ფეხბურთელის მამამაც დაადასტურა, რომელიც ცოტა ხნის წინ ჟურნალისტებს ესაუბრა და რამდენიმე საინტერესო განცხადებაც გააკეთა

„მომავალი სეზონიდან ჩემი შვილი „მილანის“ ღირსებას დაიცავს. მცირე დეტალებიღაა მოსაგვარებელი, თუმცა თავად ალბერტო და მეც გულდაწყვეტილები ვართ, რადგან მას „იუვენტუსში“ გადასვლა სურდა. იგი ბავშვობიდან ტურინელთა თავგადაკლული ქომაგია და ყოველთვის „იუვეში“ თამაშზე ოცნებობდა. „ბებერ ქალბატონს“ შეეძლო მისი ოცნების ასრულება, მაგრამ სათანადო ყურადღება არ გამოიჩინა“ — თქვა ჯანფრანკო ჯილარდინომ.

როგორც იცით, „იუვენტუსი“ გასულ ზაფხულს დაინტერესდა პერსპექტიული ფეხბურთელით, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ზლატან იბრაჰიმოვიჩზე შეაჩერა. თავად ჯილარდინო ყველანაირ პირობებზე თანახმა იყო, მაგრამ ტურინელები „პარმას“ ფეხბურთელის ფასზე ვერ შეუთანხმდნენ.

„ბებერი ქალბატონი“ არც ახლა იტყოდა უარს ჯილარდინოზე, მაგრამ პრობლემა კვლავ ფულია. თანაც ახალგაზრდა ფორვარდს „მილანისა“ და „რეალის“ სახით სერიოზული მსურველები გამოუჩნდნენ.

ბოლოს კი კვლავ ჯანფრანკო ჯილარდინოს მოვუსმინოთ: „პარმაში“ დარჩენა შეცდომა იყო. ჯობდა, „რომას“ წინადადებას დავთანხმებოდით და შარშან ზაფხულს ალბერტო დედაქალაქში გადასულიყო. მიუხედავად არიგო საკისადმი დიდი პატივისცემისა, ჩემი ვაჟი „რეალში“ გადასვლას არ აპირებს. მადრიდელებს ისედაც ბევრი ფორვარდი ჰყავთ. თავდამსხმელების ნაკლებობას არც „მილანი“ უჩივის, მაგრამ ალბერტოს უპირატესობა მისი ასაკია“.

გიორგი ძაძამიძე

ესპანური „ესპანიოლის“ მცველი ოსკარ მინამბრესი ამ სეზონში სავარაუდოდ მინდორზე ვეღარ გავა. გასულ ზაფხულს „რეალიდან“ ნათხოვარი მინამბრესი კატალონიურ კლუბს დიდად არც აქამდე გამოუყენებია. იგი მინდორზე მხოლოდ ექვსჯერ გავიდა. მინამბრესმა 22 დეკემბერს „ვალენსიასთან“ მატჩში მუხლი დაიზიანა და ექიმებმა საბოლოო დიაგნოზი ახლა დასვეს.

იტალიური „რომას“ ვეტერანი ფორვარდი მარკო დელვეკიო შესაძლოა „ბოლონიაში“ გადავიდეს. დელვეკიო დიდი ხანია, დედაქალაქელთა ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და გუნდის გამოცვლაზეც ამიტომ ფიქრობს. წესით, „ბოლონიასთან“ კონტრაქტი რომაელმა უახლოეს დღეებში უნდა გააფორმოს.

ინგლისურმა „ტოტენჰემმა“ ორი ფეხბურთელი შეიძინა: ლონდონელებმა ჯერ ისლანდიური „ჰაფნარფიორდურის“ 20 წლის ნახევარმცველ ემილ ჰალფრედსონთან გააფორმეს ორწლინახევრიანი კონტრაქტი, მერე კი ჩეხური „ჟილკოვიდან“ სეზონის ბოლომდე დევიდ ლიმბერსკი ინათხოვრეს.

ესპანურმა „ვალენსიამ“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ედუსთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. ლონდონური „არსენალის“ ფეხბურთელის ხელში ჩაგდება „რეალს“, „მანჩესტერსა“ და „ბარსელონას“ სურდათ, მაგრამ ვალენსიელებმა ყველას დაასწრეს. შეთანხმების დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

რუსულ „სატურნში“ ცვლილებებია — კლუბის ვეტერანი მცველი ვიქტორ ონოპკო ამიერიდან რამენსკოელთა მთამაშე-მწვრთნელი იქნება, ხოლო გუნდს მომავალი სეზონიდან ახალი სპონსორი — „ადიდასი“ ეყოლება. „სატურნში“ რამდენიმე უცხოელი ახალწვეულიც ისინჯება. მათ გარდა კლუბი არაერთ რუს ფეხბურთელთანაც აწარმოებს მოლაპარაკებას.

დანიის ნაკრებისა და ინგლისური „ევერტონის“ 28 წლის ნახევარმცველ თომას გრავესენით მადრიდის „რეალი“ დაინტერესდა. „მადრიდიდან მართლაც დამიკავშირდნენ. „რეალს“ თომასის შეძენა უახლოეს მომავალში სურს. უფრო კონკრეტულ წინადადებას ველით, მაგრამ არა მგონია, რომ „ევერტონი“ თავის ლიდერს იოლად შეელიოს. ჩემი კლიენტით იტალიური, ფრანგული, ჰოლანდიური, ესპანური და ინგლისური კლუბებიც არიან დაინტერესებულნი“ — თქვა გრავესენის აგენტმა.

რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს“ ფორვარდმა დმიტრი ბულიკინმა ლონდონურ „კრისტალ პალასთან“ კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების დეტალები ჯერჯერობით უცნობია. ბულიკინმა შესაძლოა, უახლოეს ტურშივე მოირგოს „პალასის“ მაისურა.

ფრანგ ნახევარმცველ ზინედინ ზიდანის თქმით, შესაძლოა იგი „რეალთან“ კონტრაქტის ვადის ამოწურვას არ დაელოდოს და ფეხბურთიდან 2007 წლამდე წავიდეს. „კარიერის დასრულებას ამ სეზონის ბოლოს არ ვაპირებ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, 2007 წლამდეც წავიდე. კარგად მხოლოდ მაშინ ვთამაშობ, როდესაც თავს ბედნიერად ვგრძნობ. საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მივიღებ“ — განაცხადა ზიდანმა.

აფრიკის 2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელი BBC-ის ვერსიით ჯეი-ჯეი ოკოჩა გახდა. ინგლისური „ბოლტონის“ ნახევარმცველმა ეს ჯილდო მეორედ მოიპოვა. ნიგერიელის მთავარი მეტოქე კატალონიური „ბარსელონას“ კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტოო იყო.

რუსული ცსკა-ს ნახევარმცველი სერგეი სემაკი უახლოეს დღეებში ოფიციალურად გახდება ფრანგული პსჟ-ს ფეხბურთელი. არმიელთა პრეზიდენტი ევგენი გინერი და სემაკის აგენტი კრისტოფ იუტო უმნიშვნელო დეტალებსღა აგვარებენ პარიზელებთან. პსჟ რუსი ნახევარმცველის ტრანსფერში სავარაუდოდ 2,5 მილიონ ევროს გაიღებს.

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებზე გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		15 იანვარი						
15:30	1	ლივერპული-მანჩესტერი	2.5	3.2	2.6	1.4	1.27	1.43
18:00	2	სიტი-კრისტალ პალასი	1.7	3.4	4.7	1.13	1.24	1.97
18:00	3	ასტონ ვილა-ნორვიჩი	1.65	3.5	4.9	1.12	1.23	2.04
18:00	4	ნიუკასლი-საუთჰემპტონი	1.6	3.6	5.1	1.1	1.21	2.11
18:00	5	პორტსმუთი-ბლექბერნი	2.0	3.3	3.4	1.24	1.25	1.67
18:00	6	ტოტენჰემი-ჩელსი	4.7	3.4	1.7	1.97	1.24	1.13
18:00	7	ჩარლტონი-ბირმინგემი	2.05	3.3	3.35	1.26	1.27	1.66
20:15	8	ბოლტონი-არსენალი	5.4	3.5	1.6	2.12	1.23	1.09
		16 იანვარი						
17:00	9	მიდლსბრო-ევერტონი	2.2	3.2	3.1	1.3	1.28	1.57
19:05	10	ფულემი-ვესტ ბრომვიჩი	1.7	3.4	4.7	1.13	1.24	1.97
		ინგლისი. I ლიგა						
		11 იანვარი						
22:45	24	პიტერბრო-რექსემი	2.1	3.3	3.1	1.28	1.25	1.59
		ინგლისი. II ლიგა						
		11 იანვარი						
18:00	37	მენსფილდი-კემბრიჯი	1.6	3.4	5.3	1.08	1.22	2.07
22:45	38	გრიმსბი-ნორთჰემპტონი	2.35	3.3	2.65	1.37	1.24	1.46
		12 იანვარი						
22:45	39	ბოსტონი-საუთენდი	2.2	3.3	2.85	1.32	1.24	1.52
		ინგლისი. კონფერენსი						
		11 იანვარი						
22:45	52	კალიფაქსი-ქროული	1.8	3.2	3.6	1.15	1.2	1.69
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		15 იანვარი						
18:00	53	დანდი-ინვერნესი	2.15	3.1	3.1	1.26	1.26	1.54
18:00	54	ჰარტსი-დანდი იუნაიტედი	1.6	3.5	5.0	1.09	1.21	2.05
18:00	55	კილმარნოკი-მაზერველი	2.25	3.1	3.0	1.3	1.28	1.52
18:00	56	ლივინგსტონი-ჰიბერნიანი	2.95	3.2	2.2	1.53	1.26	1.3
18:00	57	რეინჯერსი-დანფერმლაინი	1.15	5.6	12.0	1.0	1.04	3.81
		16 იანვარი						
17:00	58	აბერდინი-სელტიკი	7.3	4.2	1.35	2.66	1.13	1.02
		იტალია. სერია A						
		15 იანვარი						
20:00	74	ბრეშა-ფიორენტინა	2.3	2.9	3.2	1.28	1.33	1.52
22:30	75	რეჯინა-ინტერი	4.2	3.0	1.9	1.75	1.3	1.16
		16 იანვარი						
17:00	76	სამპდორია-ბოლონია	1.75	3.2	4.7	1.13	1.27	1.9
17:00	77	ატალანტა-სიენა	2.25	2.9	3.25	1.26	1.32	1.53
17:00	78	კიევო-რომა	3.1	2.8	2.4	1.47	1.35	1.29
17:00	79	ლაციო-პალერმო	1.95	2.9	4.2	1.16	1.33	1.71
17:00	80	ლივორნო-მესინა	2.1	2.9	3.6	1.21	1.32	1.6
17:00	81	მილანი-უდინეზე	1.45	3.7	7.0	1.04	1.2	2.42
17:00	82	პარმა-ლეჩე	2.15	2.9	3.6	1.23	1.34	1.6
22:30	83	კალიარი-იუვენტუსი	4.2	3.2	1.8	1.81	1.25	1.15
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		15 იანვარი						
22:00	116	ხეტაფე-ატლეტიკო	2.7	3.0	2.55	1.42	1.31	1.37
23:45	117	მალაგა-სევილია	2.8	2.9	2.55	1.42	1.33	1.35
		16 იანვარი						
19:00	118	ოსასუნა-ვალენსია	2.95	2.9	2.45	1.46	1.33	1.32
19:00	119	დეპორტივო-ნუმანსია	1.45	4.0	6.5	1.06	1.18	2.47
19:00	120	ლევანტე-ვილარეალი	2.5	2.9	2.9	1.34	1.34	1.45
19:00	121	ალბასეტე-რასინგი	2.15	3.1	3.3	1.26	1.3	1.59
19:00	122	ბილბაო-ესპანიოლი	2.15	3.0	3.4	1.25	1.31	1.59
19:00	123	ბეტისი-მალიორკა	1.6	3.5	5.4	1.09	1.23	2.12
21:00	124	ბარსელონა-სოსიედადი	1.3	4.7	8.6	1.01	1.12	3.03
23:00	125	რეალი-სარაგოსა	1.3	4.7	8.6	1.01	1.12	3.03
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		11 იანვარი						
23:00	137	ლილი-მარსელი	2.2	2.9	3.3	1.25	1.32	1.54
		12 იანვარი						
20:00	138	კაენი-პსჟ	3.0	2.9	2.35	1.47	1.31	1.29
22:30	139	ისტრი-მონაკო	4.2	3.1	1.8	1.78	1.25	1.13
22:30	140	მეცი-აიაჩო	1.85	3.1	4.2	1.15	1.28	1.78
22:30	141	ნიცა-ბორდო	2.35	2.8	3.1	1.27	1.33	1.47
22:30	142	რენი-ოსერი	2.45	2.85	2.9	1.31	1.32	1.43
22:30	143	სოშო-ლიონი	2.95	2.9	2.4	1.46	1.32	1.31
22:30	144	სტ.ეტიენი-ლანსი	2.15	3.0	3.3	1.25	1.3	1.57
22:30	145	ტულუზი-სტრასბური	1.8	3.1	4.4	1.13	1.27	1.81
22:30	146	ბასტია-ნანტი	2.2	2.9	3.3	1.25	1.32	1.54
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		11 იანვარი						
22:30	158	ბრესტი-გენგამი	2.0	2.7	4.0	1.14	1.33	1.61
22:30	159	შატორუ-ლორიანი	2.15	2.7	3.6	1.19	1.34	1.54
22:30	160	დიჟონი-ტრუა	2.35	2.8	3.0	1.27	1.31	1.44
22:30	161	გრენობლი-ნიორი	1.95	2.8	4.0	1.14	1.31	1.64
22:30	162	გენიონი-კლერმონი	1.9	2.8	4.3	1.13	1.31	1.69
22:30	163	ლავალი-რეიმსი	1.9	2.8	4.2	1.13	1.3	1.67
22:30	164	ლე ავრი-ამიენი	2.5	2.7	2.9	1.29	1.34	1.39
22:30	165	ლე მანი-კრეტეი	1.75	3.0	4.8	1.1	1.28	1.84
22:30	166	მონპელიე-ანჟე	1.75	3.0	4.8	1.1	1.28	1.84
		ინგლისი. თასი						
		11 იანვარი						
23:00	221	ლივერპული-უოტფორდი	1.3	4.3	8.5	1.0	1.12	2.85
		12 იანვარი						
23:00	222	ჩელსი-მანჩესტერი	1.7	3.3	4.4	1.12	1.22	1.88
		შოტლანდია. თასი						
		11 იანვარი						
22:45	242	გრეტნა-დანდი იუნაიტედი	4.6	3.6	1.6	2.01	1.18	1.1
22:45	243	ლივინგსტონი-მორტონი	1.35	4.0	7.5	1.0	1.14	2.6
		იტალია. თასი						
		12 იანვარი						
17:00	223	პარმა-ფიორენტინა	2.1	2.9	3.4	1.21	1.29	1.56
19:30	224	ბოლონია-ინტერი	3.05	3.0	2.2	1.51	1.27	1.26
22:30	225	სამპდორია-ტორინო	1.5	3.4	5.8	1.04	1.19	2.14
23:00	226	მილანი-პალერმო	1.35	3.7	8.0	1.0	1.15	2.52
		13 იანვარი						
17:00	227	ლაციო-კალიარი	1.8	3.1	4.1	1.13	1.25	1.76
17:00	228	უდინეზე-ლეჩე	1.6	3.4	4.9	1.08	1.2	2.0
19:30	229	სიენა-რომა	3.0	3.0	2.2	1.5	1.26	1.26
23:00	230	იუვენტუსი-ატალანტა	1.25	4.6	9.5	1.0	1.1	3.09
		ესპანეთი. თასი						
		11 იანვარი						
23:00	231	უელვა-სევილია	3.9	3.2	1.85	1.75	1.25	1.17
		12 იანვარი						
22:30	232	ელჩე-ნუმანსია	2.2	3.2	3.0	1.3	1.26	1.54
22:00	233	ოსასუნა-ხეტაფე	1.6	3.4	5.3	1.08	1.22	2.07

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		13 იანვარი						
23:00	234	ვალიადოლიდი-რეალი	5.75	3.6	1.5	2.21	1.18	1.05
		პორტუგალია. თახი						
		12 იანვარი						
18:00	235	ლეირია-ნასიონალი	1.7	3.2	4.5	1.11	1.23	1.87
18:00	236	რიუ ავე-აკადემიკა	1.55	3.4	5.5	1.06	1.2	2.1
18:00	237	პენაფიელი-მაია	1.6	3.4	5.0	1.08	1.21	2.02
18:00	238	ბეირა მარი-ესპინიუ	1.45	3.7	6.5	1.04	1.18	2.35
		საბერძნეთი. თახი						
		12 იანვარი						
17:00	239	ეგალეო-პაოკ	2.35	3.0	2.8	1.31	1.27	1.44
19:00	240	იონიკოსი-პანათინაიკოსი	5.3	3.6	1.5	2.14	1.16	1.05
20:00	241	კალითეა-ოლიმპიაკოსი	5.3	3.6	1.5	2.14	1.16	1.05
		ჰოკეი. შვედეთი						
		11 იანვარი						
21:00	303	ფრიოლუნდა-ტიმრე	1.65	4.4	3.0	1.2	1.06	1.78
		ჰოკეი. ფინეთი						
		11 იანვარი						
19:30	311	ჰელსინკი-ესპოო	1.55	4.4	3.4	1.14	1.06	1.91
19:30	312	კერპეტი-სეიპა	1.25	5.0	6.0	1.0	1.03	2.72
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		11 იანვარი						
19:00	324	სპარტა-ვსეტინი	1.3	4.8	5.2	1.02	1.03	2.49
19:00	325	კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე	2.1	4.2	2.2	1.39	1.07	1.44
19:30	326	კლადნო-ლიტვინოვი	1.85	4.2	2.6	1.28	1.08	1.6
20:00	327	პარდუბიცე-სლავია	1.85	4.2	2.6	1.28	1.08	1.6
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		11 იანვარი						
19:00	330	კოშიცე-სკალიცა	1.3	4.6	5.5	1.01	1.05	2.5
19:00	331	ნიტრა-ზვოლენი	2.35	4.2	2.0	1.5	1.08	1.35
19:00	332	ჟილინა-სლოვანი	2.5	4.0	1.95	1.53	1.09	1.31
19:00	333	დუბნიცა-მიკულაში	3.6	4.4	1.5	1.98	1.05	1.11
		ჰოკეი. შვეიცარია						
		11 იანვარი						
21:45	343	დავოსი-ლუგანო	2.05	4.2	2.35	1.37	1.09	1.5

CROCO BOOKMAKERS

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი

TCL CREDITI

10 42 00 24

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16 — ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13
	ჭავჭავაძის № 67 — ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16
წნორი	სტალინის ქუჩა №1
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7

თუჯი დნება

კალათბურთი შეუნახე რუსთავსა, ფრანგი ხარ, შენი ვალია

ვაჟა ფოლადაშვილის ფოტო

16 იანვარს რუსთავში საქართველოს რიგით მესამე თასის გათამაშება გახურდება. მეტალურგთა ქალაქისთვის ამ ტურნირის მასპინძლობა მეტად საპატიო კია, მაგრამ რუსთაველები თასის მორიგ გათამაშებას ერთობ გულგატეხილები ხვდებიან. მოგეხსენებათ, წლეულს თასისთვის საქართველოს ხუთი წამყვანი კლუბი იბრძოლებს, რომელთაგან ქვემოქართლელთა გუნდი სავარაუდოდ აუტსაიდერი იქნება. „თუჯი" ამ დღეებში ერთ-ერთმა ლიდერმა ანატოლი ბოისამ დატოვა, რითაც რუსთაველებს დაცვის ბურჯი გამოეცალათ. ესეც რომ არა, ქვემოქართლელები მაინც გულაყრილნი არიან, რაკი ხელფასი ჯერაც არ აუღიათ და მწვრთნელ ოთარ ხმელიძის თქმით, მოსალოდნელია, „თუჯი" კიდევ რამდენიმე კალათბურთელმა დატოვოს...

— ბატონო ოთარ, თასის გათამაშებას რა სიახლეებით ხვდებით?

— სამწუხაროდ, ჩვენს გუნდში მხოლოდ ცუდი ამბები ხდება. ერთ-ერთმა ლიდერმა ანატოლი ბოისამ დაგვტოვა და სათამაშოდ აზერბაიჯანულ „ნეფ-დეველოპმენტში" გადავიდა. ის ძალიან დიდ დახმარებას გვაწევდა როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში — ამიტომაც ბოისას წასვლით გვარიანად დავსუსტდით.

— შევსებას არ ფიქრობთ, თქვენს გუნდს ხომ ფრანგი სპონსორი გამოუჩნდა?

— ოფიციალურად კი გვყავს სპონსორი, მაგრამ მხოლოდ დაპირებებით ვსაზრდოობთ. ხელფასი ჯერ არ აგვიღია, ანუ იგივე ვითარებაა. საერთო ჯამში წელიწადი და ორი თვეა, რაც გასამრჯელო არ მოუციათ.

— ამას წინათ თქვით, რომ გუნდის ფრანგი სპონსორი საფრანგეთიდან უნდა დაბრუნებულიყო და შეგხვედროდათ...

— კი, მაგრამ ჯერაც არ შეგვხვედრია. მისი ქართველი წარმომადგენელი ხშირად გვეხმიანება და კლუბის ამბებს კითხულობს — გვაიმედებს კიდეც, ფრანგი სპონსორი მალე მოიცლის თქვენთვისო. ჩვენც ველით, მაგრამ შესაძლოა, ზოგიერთმა ვერ მოითმინოს და ბოისას კვალს დაადგეს.

— მოსალოდნელია, რომ „თუჯმა" კიდევ დაკარგოს მოთამაშეები?

— ადვილი შესაძლებელია, კიდევ რამდენიმე კალათბურთელი წავიდეს, თუ დროულად არ მოგვხედეს. როგორც ამბობენ, საწარმო „თუჯი" უკვე ამუშავდა და საკმაოდ წარმატებითაც. ურიგო არ იქნება, ცოტას ჩვენც თუ მოგვხედავენ და რუსთავს კალათბურთს შეუნარჩუნებენ.

ირაკლი პერტაია

ცინცაძე ისევ სამარაში ჩაჯდა

გასული წლის ბოლო დღეებში საქართველოს ნაკრებისა და რუსული „სამარას" 18 წლის გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე თბილისში ვიზის გასახანგრძლივებლად იყო ჩამოსული და ამბობდა, მეორე შანსი, უკან დავბრუნდე, სავარაუდოდ, პარიზულ „რასინგში" წავალო, მაგრამ...

სანამ ამის მიზეზს ვიკითხავდეთ, ერთხელაც გავიხსენოთ, რომ ცინცაძე „სამარაში" მოსკოვის ცსკა-მ გაანათხოვრა სათამაშო პრაქტიკის მისაღებად და რუსულ სუპერლიგასთან საადაპტაციოდ. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მერე სამარელთა მწვრთნელმა ოლეგ კიმმა ქართველი აითვალწუნა და იშვიათად ათამაშებდა. ცინცაძემ ჩათვალა, რომ მწვრთნელი მას უსამართლოდ მოექცა და პროტესტის ნიშნად უარი თქვა „სამარას" ძირითად გუნდში თამაშზე.

ბოლო ხანებში ცინცაძე თან დუბლიორებში თამაშობდა და თან თვალი გუნდიდან წასვლაზე ეჭირა. გამოუჩნდა კიდეც ვარიანტი, თავში ნახსენები პარიზის „რასინგი", მაგრამ მან მოულოდნელად „სამარაში" დაბრუნება არჩია. გიოს სამარელთა დუბლიორების მწვრთნელი შეეხმიანა, რომელმაც სთხოვა, გუნდში დაბრუნებულიყო — „ნაჩუქარი სეზონის გამო არ ღირს კლუბის გამოცვლა, ცხელ გულზე ეგებ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო" ცინცაძეც დაჰყვა სამარელი მწვრთნელის თხოვნას და ახლა თავის ძველ გუნდშია.

ქართველი გამთამაშებლის ამ „ამბოხმა", ჩანს, ჩააფიქრა სამარელთა მთავარი მწვრთნელი ოლეგ კიმი და მან ცინცაძე მორიგი მატჩისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე ძირითად გუნდში იხმო.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი



ტრეისი მაკგრეიდმა „დენვერს" 45 ქულა ჩაუგდო

მწვრთნელთა გამოცვლით შედეგი არ იცვლება

დენვერს ისევ ჩაუყარეს

9 იანვარი

დენვერი 98:116 ჰიუსტონი

დენვერი: ენტონი (27), მარტინი (15 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), მილერი (13)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (45 ქულა, 12 მოხსნა, 5 პასი, 3 დაფარება), მინგი (21)

სიეტლი 108:98 მაიამი

სიეტლი: რადმანოვიჩი (27), ფორტსონი (18), ალენი (15), დანიელსი (15)

მაიამი: ონილი (28 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება), ე. ჯონსი (19), ვეიდი (16)

ფინიქსი 124:89 ინდიანა

ფინიქსი: მარიონი (21), სტუდემაიერი (20 ქულა, 14 მოხსნა), ჯონსონი (15)

ინდიანა: ტინსლი (21), ონილი (16)

ტორონტო 109:87 გოლდენ სტეიტი

ტორონტო: ბოში (21 ქულა, 17 მოხსნა), პიტერსონი (21), ბონერი (15), ალსტონი (15)

გოლდენ სტეიტი: რობინსონი (18), დანლივი (13)

ნიუ იორკი 113:105 პორტლენდი

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (25), მარბერი (20), კ. ტომასი (18)

პორტლენდი: რენდოლფი (27 ქულა, 10 მოხსნა), პატერსონი (20)

მწვრთნელის გამოცვლა ჯერჯერობით ვერაფერში წაადგა „დენვერ ნაგიტსს". კოლორადოელები ისევ აგებენ და მაიკლ კუპერმა ჯერ ვერ დაამტკიცა, რომ ჯეფ ბზდელიკზე მცოდნე მწვრთნელია.

არადა, ამჯერად კუპერის გუნდს ისეთი მეტოქე ჰყავდა, დაუმარცხებელი ნაღდად არ ეთქმოდა. „ჰიუსტონ როკიტსს" დენვერში წონწოლა იაო მინგიც ჩაჰყვა და განთქმული ტრეისი მაკგრეიდიც, მაგრამ საზოგადოდ ტეხასური გუნდი ისეთი ბობოლა როდია, კოლორადოში უეჭველი გამარჯვება დაეგეგმა.

„ჰიუსტონი" ვერც მოიგებდა, რომ არა ზემოთნახსენები ტანდემი, უფრო სწორად კი, ტრეისი მაკგრეიდი, ვინაც მხოლოდ მოწინააღმდეგეები კი არა, ლამის მთელი „პეპსი სენთერი" დაზაფრა თავისი დაუნდობელი და, რაც მთავარია, ზუსტი თამაშით.

ბოლო მეოთხედამდე თამაში თანაბარ რიტმში მიედინებოდა. მეტოქენი დაახლოებით ერთი კალიბრისანი იყვნენ და წინა სამის მსგავსად ბოლო პერიოდშიც დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ რას გააწყობ, როცა „თიმექი" თამაშის იმტაზე მოვა? „დენვერის" ახალ თავკაცს რომ ჰკითხო, ვერაფერს. უნდა უყურო, როგორ აგდებს ეს ჯადოკალათბურთელი სამქულიანებს, საჯარიმოებს, როგორ ტენის და გივსებს საკუთარ კალათს და მარცხს შეგგუო. კუპერს მთლად ეს არ უთქვამს, თუმცა „როცა შენს წინააღმდეგ ტრეისი მაკგრეიდი თამაშობს, ძნელია რამის გაკეთება. ხოლო თუ თიმექი აიშვებს, მისი შეჩერება საერთოდ შეუძლებელია. ჩვენ ორი დამცველი მივუჩინეთ მაკგრეიდის, მაგრამ მან მაინც აგვიკლო" — აი, კუპერის კომენტარი.

ჰიუსტონელთა ლიდერმა სწორედაც რომ დააწიოკა დენვერელები ბოლო მეოთხედში. მანამდე მას 25 ქულა დაეგროვებინა და მისი საშუალო სამატჩო თამასა უკვე შეევსო, მაგრამ ბოლოს სული აიშვა, ეს არ იკმარა, კიდევ 20 ქულა მოინაგრა და ჯამში 45 გამოუვიდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ „დენვერი" ისევ დამარცხდა — მეაიე ბოლო თერთმეტ შეხვედრაში.

მთლად მაკგრეიდის დარი სიზუსტე ვერ გამოიჩინა, მაგრამ რაც სიეტლელმა ვლადიმირ რადმანოვიჩმა ბობოქარ „მაიამისთან" მოინაგრა, მისთვის ესეც ბევრია. სიეტლელმა ფორვარდმა 27 ქულა გადაუჭირა ალმოსავლეთის ყოჩს და ერთი კვირის წინ ნაწვნევი მარცხის გემო კვლავ გაახსენა.

დიახ, სწორედ „სიეტლმა" შეწყვიტა მაიამელთა ისტორიული, თორმეტმატჩიანი წაუგებელი სერია, როცა წინა ორშაბათს „ჰითი" ფლორიდაში დასცა. ახლა კი სიეტლშიც იმარჯვეს „ზებგერითებმა", რასაც შემთხვევითობას ვეღარ მივაწერთ.

მატჩის გმირი, რა თქმა უნდა, რადმანოვიჩია, ვინაც ბოლო მეოთხედში სამქულიანებით აიკლო მაიამელთა კალათი, თუმც გამარჯვებაში არანაკლები წვლილი მიუძღვის სიეტლელთა ცენტრ დანიელ ფორტსონს. მატჩის მთელმა სიმძიმემ მის ბეჭებზე გადაიარა, რაკი სწორედ იგი მეურვეობდა ვეება შაკილ ონილს, რომელსაც მატჩის ბოლო შვიდ წუთში ბურთი არ ჩააგდებინა.

„თუ გინდა, შაკი გააჩერო, მისივე იარაღით უნდა ებრძოლო ანუ ეჯაჯგურო და ეჩხუბო კიდეც. ჩვენ ერთმანეთის მეურვეობას დიდი ძალა შევალიეთ და რომელმა აჯობა, ტაბლოზე ჩანს" — მედიდურობდა ფორტსონი.

ირაკლი პერტაია

დომოდედოვოს აეროპორტში საბარგო-საპასპორტო კონტროლის შემდეგ თბილისისკენ მომავალ მგზავრებს შევუერთდი. თვითმფრინავში გვერდით მჯდომ მოსულ გოგონას გამოველაპარაკე, რომელიც რუსეთის სახელით მოჭიდავე ჩვეუბრივი ძიუდოისტი, ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი თეა დონღუზაშვილი აღმოჩნდა. ასეა, ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე და მეც შევეცადე, შემთხვევა არ გამეშვა ხელიდან

დიდი დანაკარგი

თეა დონღუზაშვილი პეკინის ოქროს პუტინს შეპირდა



— საქართველოში შენზე ათენის ოლიმპიადის შემდეგ ალაპარაკდნენ, ეგებ გაგვიმხილო, როგორ გახდი ძიუდოისტი...

— 13 წლის ვიყავი, როცა ბიძამ ვალერი დონღუზაშვილმა ძიუდოზე მიმიყვანა. მაშინ არმიის სპორტკომპლექსში მურად მწარიაშვილის თაოსნობით ვარჯიშობდნენ ძიუდოისტი გოგონები. მე ომარ გულისაშვილის ჯგუფში მოვხვდი.

— პირველი წარმატება როდის გეწვია?

— გაგეცინება, ზუსტად ორ კვირაში საქართველოს პირველობა ტარდებოდა და მეც გამომიყვანეს. ორი კვირის განმავლობაში რისი ათვისებაც მოვასწარი, იმ ცოდნით გავედი შეჯიბრზე. კურიოზული სიტუაციაც კი შემემთხვა. ძიუდოს ტერმინები საერთოდ არ მესმოდა და „ვაზარს" — რაც ნახევრად მოგებას ნიშნავს — საერთოდ ვერ ვხვდებოდი, რატომ ამბობდნენ მსაჯები. მოხდა ისე, რომ მოწინააღმდეგე მოვიქნიე და ისიც „ვაზარზე" დაეცა. ამ დროს გამოაცხადეს, „ვაზარი" დონღუზაშვილიო. დავიწყე ნერვიულობა, მეგონა, წავაგე, მაგრამ თურმე ვიგებ. აი, ისე მოვიგე ჩემთვის პირველი საქართველოს ჩემპიონატი, რომ თვითონაც არ ვიყავი აზრზე.

— საქართველოში ამის შემდეგ რამდენ ხანს ჭიდაობდი?

— 5 წელი. დიდებში ჯერ საქართველოს ჩემპიონი გავხდი, მერე კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მოვიგე. 1992-93 წლები იყო, არანაირი სავარჯიშო პირობები არ მქონდა. ქალთა ძიუდო ძალიან ძლიერი სახეობა გახლდათ, თუმცა ჩვენთვის ვის ეცალა, კაცებს ძლივს ინახავდნენ, ან თავი უნდა დამენებებინა, ან სადმე წავსულიყავი და გამგზავრება ვარჩიე.

— რატომ მაინცდამაინც რუსეთი? იქ ვინმე ხომ არ მიგიწვია?

— ძიუდოს სამყაროში იცოდნენ, ვინც ვიყავი, თუმცა მე თვითონ არავის ვიცნობდი. ჩავედი, ასე ვთქვათ, უარაფროდ. ვიჭიდავე და რომ შემხედეს, ნაკრებშიც ამიყვანეს. რუსეთის ჩემპიონატიც მოვიგე.

— თავიდან თუ გაგიჭირდა?

— ძალიან მიჭირდა. ღამეებს ტირილში ვატარებდი, შინ მინდოდა. იქ ახლობელი არავინ მყავდა. ხშირად მშიოდა კიდეც, მაგრამ ყველანაირ განცდებს ვძლიე და თანდათან ვითარებასაც შევეგუე.

— იქაურებთან თუ გიჭირდა ურთიერთობა?

— რუსეთის ნაკრები საგრძნობლად განსხვავდება ქართულისგან. საქართველოს ნაკრებში ყველა ერთმანეთის დაქალები ვიყავით, ვუზიარებდით ავს თუ კარგს. იქ კი ჩაკეტილები, კონკრეტულები არიან. ან შავია ან თეთრი, მათთვის ნაცრისფერი არ არსებობს. ან უნდა იბრძოლო გადარჩენისათვის, ან დათმო და წახვიდე. არავინ დაგეხმარება. ხარ მარტო.

— დღის რეჟიმი როგორი გაქვს?

— დღეში სამჯერ ვვარჯიშობთ. დილის 7 საათზე მსუბუქი მოთელვა გვაქვს. 11-ზე მეორე და 5-ზე მესამე ვარჯიში. წელიწადში 250 დღე შეკრებებზე ვართ.

— ნაკრებს ალბათ საკუთარი ბაზაც აქვს...

— პოდოლსკში და კისლოვოდსკში. ხანდახან ადლერში ზღვაზეც ვემზადებით.

— კვებაზე რას გვეტყვი? ყველაფერი გეჭმევათ?

— მენიუს ექიმი გვიდგენს. ჩიფსი და კოკა-კოლა აკრძალული გვაქვს. რაციონში მეტი ნატურალური პროდუქტი შედის. მოხარშული ხორცია მიზანშეწონილი, ჩვენთან ხაშლამას რომ ეძახიან. შეკრებების წინ შავ ხიზილალას და წითელ თევზს გვაჭმევენ.

— ნაკრებში ალბათ პირველი ნომერი ხარ...

— დიახ. ოლიმპიურ თამაშებზეც პირველ ნომრად გავემგზავრე, მაგრამ ნაკრებთან ერთად არ ვემზადებოდი. ნახევარი წელი ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი სერგეი კოსმინინის მეთვალყურეობით, რომელიც, ჩემდა სამწუხაროდ, ოლიმპიადის შემდეგ ყატარში გაემგზავრა.

— უცნაურია, როგორ დაგრთეს ნება, რომ ნაკრებს ჩამოშორებულიყავი და ცალკე გევარჯიშა...

— ძალიან ბევრი იკამათეს და საკითხი მაინც ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

— როგორ ფიქრობ, ინდივიდუალურმა მომზადებამ გაამართლა?

— შედეგმა ალბათ ყველა კითხვას გასცა პასუხი. ოლიმპიადაზე 10 დღით ადრე ავად გავხდი, ყურის ანთება დამემართა და ამან ოდნავ შემიფერხა ოლიმპიადისათვის მზადება.

— ოქრო რატომ ვერ მოიგე?

— ფინალამდე სამი შეხვედრა მოვიგე, მეოთხე კი ფინალში გასასვლელი იყო, რომლის წინ 4 საათნახევრიანი შესვენება დაინიშნეს. ჩემს პირად მწვრთნელს სამწუხაროდ აკრედიტაცია არ ჰქონდა. იგი ათენში ტურისტად გახლდათ და, ბუნებრივია, მოსამზადებელ დარბაზში ვერ შეძლო ჩამოსვლა და ჩემი ნახვა. ვიჯექი მარტო, დავიძაბე ნერვიულობისგან და ასეთი განწყობით გავედი საჭიდაოდ. მალევე დავიღალე. შეხვედრა თუ 5 წუთს გრძელდებოდა, მე ორ წუთში აღარაფრის თავი არ მქონდა. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ ოლიმპიადამდე ვინმეს რომ ეთქვა, ბრინჯაოს აიღებო, გადავეხვეოდი, იქ კი ვნახე, რომ ოქროც რეალური იყო.

— ახლო მომავალში სად გეგმავ ასპარეზობას?

— ევროპის ჩემპიონატზე მინდა ვიჭიდავო, თუმცა ჯერ შევხედავ, რა ფორმაში ვიქნები. ძირითადი მიზანი კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლაა.

— ქართველ ძიუდოისტ ქალებზე რას გვეტყვი?

— საქართველოს ჯერჯერობით არ ჰყავს ქალთა სერიოზული ნაკრები. ამბობენ, კარგი თაობა იზრდებაო. ვფიქრობ, მათ დიდ წარმატებებზე ჯერ ნაადრევია საუბარი.



— გავიგეთ, ოლიმპიური თამაშების შემდეგ პუტინიც შეგხვედრიათ.

— პუტინმა 5 ძიუდოისტს პირადად გადმოგვცა 145-გრამიანი სუფთა ოქროს მედლები. მარტო ჩვენ გვხვდა წილად ასეთი პატივი.

— ალბათ იმიტომ, რომ პუტინიც ძიუდოისტია, არა?

— დიახ. როგორც ყოფილი ძიუდოისტი, ძალიან ეხმარება ჩვენს სახეობას. მისი წყალობით რუსეთში ძიუდომ ამოისუნთქა.

— პეკინში თუ გაემგზავრები მომავალ ოლიმპიადაზე?

— ვემზადები. დიდი იმედი მაქვს, რომ ოქროსათვის ვიბრძოლებ. თვით პუტინსაც შევპირდი, რომ სანამ ოქროს არ ავიღებ, ძიუდოს თავს არ დავანებებ-მეთქი.

— ქართველ ოლიმპიელებს თუ მიულოცე გამარჯვებები?

— ზვიადაურის ოქრომ მეტად გამახარა. ჩვენი ოლიმპიელები ჩემი გამოსვლის შემდეგ ოლიმპიურ სოფელში ვნახე და იქ მივულოცე წარმატებები. ძალიან გამიხარდა შოთა ხაბარელის ნახვა. იგი უსაყვარლესი ადამიანია. ბატონი შოთა იმდენად სიყვარულით ამხნევებს და არიგებს თავის შეგირდებს, რომ მე კამერითაც გადავიღე და ხშირად ვუყურებ. როცა ერთად ვხვდებით შეჯიბრებებზე, მეც არანაკლებ მარიგებს და მგულშემატკივრობს. ჭიდაობისას მისი შეძახილები ხშირად მესმის. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით — შოთა ხაბარელს და მთელს ძიუდოს ნაკრებს ვულოცავ გამარჯვებას.

— საქართველოში არ აპირებ დაბრუნებას?

— შემოთავაზებები მქონდა, მაგრამ ვგონებ პირობები არა აქვთ, ნაკრებიც კი არ არის ჩამოყალიბებული და ჯერჯერობით თავს ვიკავებ.

შოთა ხაბარელი: *თეა დონღუზაშვილი იშვიათი პიროვნებაა. ძალიან შრომისმოყვარეა და მისი ასეთი წარმატების უმთავრესი ფაქტორი ძიუდოსადმი უდიდესი სიყვარულია. იგი საქართველოსთვის დიდი დანაკარგია. თეამ ქართულ ძიუდოს სკოლასთან ძალიან ბევრი მიიღო. სხვათა შორის, ისე ვამხნევებ შეჯიბრებებზე, როგორც ჩემს მოსწავლეებს. სადაც არ უნდა იყოს დონღუზაშვილი, იგი მაინც ჩვენია.*

ნინო ლეჟავა

სამეფო რბოლების ლეგენდა 3

ალბერტო ასკარი



დაიბადა 1918 წლის 13 ივლისს მილანში
ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1950-55 წლებში
1952 და 1953 წლების მსოფლიოს ჩემპიონი
1951 წლის ვიცე-ჩემპიონი
1950 – მეხუთე ადგილი
1954 – ოთხი რბოლა, 0 ქულა
1955 – ორი რბოლა, 0 ქულა
31 რბოლა, 13 მოგება, 17 პოდიუმი, 14 პოული, 13 უსწრაფესი წრე, 5 დიდი სლემი, 140,64 ქულა
გუნდები: „ფერარი" (1950-53, 1954), „მაზერატი" (1954), „ლანჩა" (1954-55)
დაიღუპა 1955 წლის 26 მაისს „მონცაზე" ვარჯიშისას

ასკარი მეორე და დღემდე ბოლო იტალიელი მსოფლიოს ჩემპიონია ჯუზეპე ფარინას შემდეგ. 1952-53 წლებში მისმა ტრიუმფმა საფუძველი ჩაუყარა „სამეფო რბოლების" ყველაზე ტიტულიანი გუნდის, „ფერარის" მომავალ ფანტასტიკურ პოპულარობას. იგი ამ იტალიური სუპერსაჯინიბოს ერთადერთი იტალიელი გვირგვინოსანია. შემდეგ იყვნენ არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო, ბრიტანელები მაიკ ჰოტორნი და ჯონ სარტისი, ამერიკელი ფილ ჰილი, ავსტრიელი ნიკი ლაუდა, სამხრეთაფრიკელი ჯოდი შექტერი და გერმანელი მიხაელ შუმახერი.

1955 წელს მონცაში ვარჯიშისას დაღუპვამდე ალბერტომ ოთხი სრული სეზონი ჩაატარა და მხოლოდ 31 რბოლაში მოასწრო გაჯირითება, ყველაზე ცოტაჯერ მეფორმულე ჩემპიონთაგან. მოიგო 13 დიდი პრიზი, აქედან ცხრა ზედიზედ (1952-53), რაც სადღეისოდაც, ნახევარი საუკუნის შემდეგ, სარეკორდო მოსავლიანობაა. მეორე შედეგი აქვს 2004 წელს შვიდჯერ მომგებ შვიდგზის ჩემპიონ შუმახერს.
ასკარი ერთერთია იმ ოთხ ჩემპიონთა შორის, ვინც სიცოცხლე ტრასაზე დაასრულა. მისი ბედი გაიზიარეს ჯიმ კლარკმა (1968), იოხენ რინდტმა (1970) და აირტონ სენამ (1994).

ალბერტო მეოცე საუკუნის ოციანი წლების იტალიელი ავტოვარსკვლავის, ანტონიო ასკარის შვილი იყო. საჭეს პირველად 11 წლისა მიუჯდა, ოღონდ ჯერ მოტოციკლისას. მალე ორი ბორბალი ოთხით შეცვალა და თავიდან მამამისის კოლეგა-მეგობრის ენცო ფერარის „ალფა რომეოს" დააქროლებდა, მერე თანამემამულე მძღოლ პიერო ტარუფისთან საზიაროდ ნაყიდ „მაზერატის".

პირველ წარმატებას ალბერტომ 1948 წელს მიაღწია, როცა ყველას აჯობა სან რემოს დიდი პრიზის გათამაშებაში. მომდევნო სეზონში უკვე სამი რბოლა მოიგო, 1950 წელს კი პირველ საფორმულო მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაება „კომენდატორეს" ფერარის მანქანით. ეს იყო „ფერარი 375" 4,5-ლიტრიანი ძრავით, რომელიც მეორე, მონაკოური ეტაპიდან გამოჩნდა ტრასებზე. დებიუტი წარმატებული გამოდგა — 31 წლის ასკარი მონტე კარლოს ქუჩებში მეორე მივიდა ფინიშთან არგენტინელ „მაესტრო" ფანხიოს შემდეგ. მაგრამ მომდევნო სამ რბოლაში ხელი მოეცარა, საბოლოოდ 11 ქულას მოუყარა თავი და მეხუთე ადგილი დაიკავა.

1951 წლის ჩემპიონატი ასკარისთვის ბევრად უკეთესად წარიმართა, პირველი რბოლაც მოიგო — გერმანიაში, ნიურბურგის უგრძეს და ურთულეს ტრასაზე, მერე იტალიაშიც ყველას აჯობა და ესპანური დასკვნითი ეტაპის წინ მშვენიერი საჩემპიონო შანსიც ჰქონდა — ლიდერ ფანხიოს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებოდა. ალბერტომ „პედრალბესზე" კვალიფიკაცია მოიგო და თავიდან რბოლაშიც ყოჩაღად მიდიოდა, მაგრამ სამჯერ გაუსკდა საბურავები, მხოლოდ მეოთხე იყო ფინიშთან და ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა.

სეზონის შემდეგ იმ პერიოდისთვის საუკეთესო გუნდმა „ალფა რომეომ" ფინანსური პრობლემების გამო „სამეფო რბოლები" დატოვა, კიდევ ერთ-ორ საჯინიბოსაც მატერიალურად გაუჭირდა და ერთადერთ ფავორიტად „ფერარი" დარჩა. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამაც კრიზისიდან გამოსვლის მარტივი გზა გამონახა. გადაწყდა, რომ მომდევნო ორი ჩემპიონატი ნაკლებმძლავრი, ფორმულა 2-ის პარამეტრებიანი მანქანებით ჩატარდებოდა, ასეთები კი მრავლად იყო. ძრავების მოცულობა 2000 კუბურ სანტიმეტრამდე შემცირდა. ვარაუდობდნენ, რომ ამით უფრო მეტ მონაწილეს მიიზიდავდნენ და გუნდების კვორუმი აღდგებოდა, თანაც რაოდენობის გაზრდით კონკურენციაც გაიზრდებოდა და „ფერარის" დომინირება შეიზღუდებოდა.

ალბერტოს ეპოქა

ვარაუდი სანახევროდ გამართლდა. გუნდები მართლაც სოკოებივით მომრავლდნენ, მაგრამ დაძაბული ბრძოლის ნაცვლად ფორმულა 2-ის ჩემპიონატები „ფერარის" უიოლესი გასეირნება გახდა. სკუდერიელებმა ორ სეზონში 15 რბოლიდან 14 მოიგეს.

„წითლების" მთავარმა კონსტრუქტორმა აურელიო ლამპრედიმ ფანტასტიკური ოთხცილინდრიანი ძრავა შექმნა, წინამორბედზე 42 კილოგრამით მსუბუქი და 25 ცხენის ძალით უფრო ღონიერი. მთელი მანქანაც პრაქტიკულად ახალი იყო. 180-ცხენისძალიანი „ფერარი ტიპო 500", რომელიც 240 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა, გამოირჩეოდა კონსტრუქციის სისადავით და იმავდროულად გასაოცარი საიმედოობით, სამართავადაც მეტად მოხერხებული იყო.

ასკარიმ 1952 წლის ჩემპიონატის პირველი ეტაპი 18 მაისს შვეიცარიის „ბრემგარტენზე" გამოტოვა, რადგან იმ დღეებში ინდიანაპოლისის (აშშ) 500-მილიან მარათონში ცდიდა ძალას. „ფერარი 375"-ით ევროპელებისთვის უცხო, ოვალურ ტრეკზე თავი ღირსეულად ეჭირა, 150 კილომეტრის გავლის მერე მერვე იყო, მაგრამ საბურავი გაუსკდა და ბრძოლას გამოეთიშა. ფორმულაში დაბრუნებულმა უმოკლესი, სულ 110-დღიანი სეზონის ექვსივე რბოლა მოიგო — ბელგიაში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, ჰოლანდიასა და იტალიაში, ექვსივეში უსწრაფესი წრე და ხუთი პოულიც მიითვალა, 53,5 ქულა დააგროვა და ზუსტად ორმაგი სხვაობით აჯობა მეორე ადგილზე გასულ თანაგუნდელ ფარინას. აღსანიშნავია, რომ წინა წლის ტრიუმფატორ ფანხიოს „მონცაზე" ავარიისას ტრავმის გამო მთელი ჩემპიონატი გაუცდა.

ალბერტო ექვსივე ტრასაზე შეუდარებელი იყო და მაინც, გამორჩეულია „ნიურბურგრინგზე" გამარჯვება. მკვეთრ აღმართ-დაღმართებიან, 22-კილომეტრიანი „სიკვდილის წრის" გავლას მრბოლები ათ წუთზე მეტს უნდებოდნენ.

სტარტიდან წინ ასკარი გაიჭრა, უკან მიჰყვებოდნენ რობერ მენსონი („გორდინი"), ჯუზეპე ფარინა („ფერარი"), ფელიჩე ბონეტო („მაზერატი")... როგორც ყოველთვის, უმძიმეს პირობებში მანქანები ხშირად ჩერდებოდნენ დაზიანებული ნაწილების ან საბურავების გამოსაცვლელად. ყველაზე ადრე ფარინამ შეცვალა ბორბლები, შუა რბოლაში — ასკარიმაც და იქვე ჯუზეპემ მეორედ მიაკითხა მექანიკოსებს დახმარებისთვის. ტრასაზე დაბრუნებისას კი ორჯერ ჩაუქრა ძრავა და ასკარის უკვე ნახევარი წუთით ჩამორჩა.

გამარჯვებული გარკვეული ჩანდა, მაგრამ ფინიშამდე ორი წრით ადრე ალბერტოს მოულოდნელად კიდევ ერთხელ მოუხდა პიტსტოპზე შევლა ზეთის ჩასამატებლად და ლიდერობა ფარინამ იგდო ხელთ. ასკარი დაფეთებული გამოედევნა, საშიშ ვირაჟებს თითქმის სისწრაფის დაუკლებლად გადიოდა და ბოლო წრეზე მოასწრო თანამემამულე-თანაგუნდელისთვის გვერდის ავლა. ეს ალბერტოს ხანმოკლე კარიერაში საუკეთესო რბოლა იყო, 500-კილომეტრიანი დისტანცია სამ საათსა და 13 წუთში დაფარა 132,3კმ/სთ საშუალო სიჩქარით და ჯუზეპე 14 წამით ჩამოიტოვა.

ალბერტომ 1953 წელსაც უპრობლემოდ მოიპოვა ტიტული, თუმცა რვიდან „მხოლოდ" ხუთი დიდი პრიზის დასაკუთრება მოახერხა — არგენტინის, ჰოლანდიის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის და შვეიცარიის. ვიცეჩემპიონობა გამოჯანმრთელებულ ფანხიოს ერგო.

ასკარი აქტიური მრბოლის ტიპურ მაგალითს წარმოადგენდა. სტარტიდანვე ცდილობდა ქარავნის თავში ჩადგომას და არა პირიქით, როცა მეტოქის ზურგსუკან ჩასაფრებულები ელიან ხელსაყრელ მომენტს გასასწრებად. ყოველთვის რეალურად აფასებდა საკუთარ და მანქანის შესაძლებლობებს. ცდილობდა, შეცდომებისთვის თავი აერიდებინა, ფინიშზე კი სრულიად დამშვიდებული ჩანდა, თითქოს რბოლის ბედი არც აღელვებდა.

ფიზიკურად ძლიერ, ჩაფსკვნილ ალბერტოს მეტსახელად „ხორციანი" შეარქვეს. წყნარი, ურთიერთობაში სასიამოვნო, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, კომუნიკაბელური პიროვნება იყო.

ბედისწერა – 26 მაისი

1925 წლის 26 ივლისს პარიზის მახლობლად, მონლერის 12-კილომეტრიან ტრეკზე საფრანგეთის ავტოკლუბის პრიზისთვის რბოლაში დაიღუპა ალბერტოს მამა, ანტონიო — „ალფა რომეო" დამცავ ბარიერს მიეხეთქა და რამდენჯერმე გადაბრუნდა. ანტონიო 36 წლის იყო.

ალბერტოს ცრურწმენის არანორმალური გრძნობა ჰქონდა, პანიკურად სჯეროდა თარიღების და ცუდი ნიშნების დამთხვევისა. ამიტომ არასოდეს ჯდებოდა საჭესთან 26 რიცხვში, მუდამ პირველი წარმატების მომტან ჩაფხუტს იხურავდა.

1955 წლის 22 მაისს, მონაკოს დიდი პრიზის გათამაშებისას, იგი სანაპიროზე მოსახვევში ვერ ჩაეტია, გვირაბიდან უზარმაზარი სისწრაფით გამოვარდნილმა „ლანჩა L50"-მა სილის ტომრებიანი ჯებირი გაარღვია და ზღვაში ჩავარდა. მანქანა უცბად ჩაიძირა, მაგრამ მაშველებმა იყოჩაღეს და მრბოლი დახრჩობას გადაურჩა, მხოლოდ ცხვირი გაუტყდა და წყალში ჩაფხუტი დაკარგა.

ოთხი დღის შემდეგ, 26 მაისს, ასკარიმ „მონცაზე" შეიარა. იქ „ფერარი" ახალ სპორტულ მოდელს ცდიდა, რომლითაც იგი და ეუჯენიო კასტელოტი ერთ კვირაში რბოლას აპირებდნენ. ალბერტოს მეუღლესთან ერთად რესტორანში უნდა ესადილა, მაგრამ იფიქრა, ავტოდრომიდან წასვლამდე რამდენიმე წრეს დავარტყამ, „ფერარის" და მონტე კარლოში ნატკენ ზურგს გამოვცდიო. მესამე წრეზე ჩქაროსნულ მოსახვევში, რომელსაც ახლა „ვარიანტე ასკარი" ჰქვია, მანქანა გვერდულად გასრიალდა და ორჯერ ამოყირავდა. ალბერტო მანქანიდან გადმოვარდა და რამდენიმე წუთში გარდაიცვალა უამრავი ტრავმისგან. ტრაგედიის მიზეზი ვერ დაადგინეს, თუმც ერთ-ერთი ვერსიით, საბურავი გასკდა, იმასაც ამბობდნენ, მონტე კარლოს ინციდენტის მერე ბოლომდე ვერ გამოკეთდაო.

ერთხელ ასკარის უთქვამს, „ფერარის" საჭესთან მინდა მოვკვდეო. სამწუხაროდ, სწორედ ასე მოხდა.

იმ ავბედით დღეს 26 რიცხვი იყო, ალბერტოს, ისევე როგორც მამამისს, ნათხოვარი ჩაფხუტი ეხურა და ისევე, როგორც მამამისი, 36 წლის იყო.

გია ახალაძე



ალბერტო ასკარი ბელგიაში, სპა-ფრანკორშამის ლეგენდალურ ტრეკზე ჯირითისას

უჩოქებჯენო ჭიდაობას ჭაბუკები იწყებენ

ჭიდაობის ფედერაციის სათავეში ბაკურ გოგიტიძის მისვლის შემდეგ ჩვენი მოჭიდავეები პირველ საერთაშორისო ტურნირზე მიდიან. ხვალ თავისუფალი სტილის ჭაბუკთა ნაკრები აზერბაიჯანის გზას დაადგება და 14-15 იანვარს გასამართ ბაქოს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ჩაერთვება. მთავარი მწვრთნელის თამაზ ბენდიანიშვილის მთავარი ამოცანა საივლისო ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდის დაკომპლექტებაა. ზაფხულამდე დარჩენილ ტურნირებზეც სწორედ შიდა კონკურენციას მიექცევა ყურადღება, თუმც მეზობელ ქვეყანაში კარგად ჭიდაობის ტრადიციაც რომ არ უნდა დაირღვეს, მწვრთნელი ამაზეც სერიოზულად მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ ბაქოში ორ წონაში მონაწილე საერთოდ არ გვეყოლება.

— აზერბაიჯანში 12 იანვარს ალბათ მატარებლით გავემგზავრებით — გვეუბნება თამაზ ბენდიანიშვილი — პრეზიდენტმა მიკროავტობუსით წასვლა შემოგვთავაზა, მაგრამ რკინიგზა თავად ვირჩიეთ.

— ბოლოხანს ტურნირები არ გამართულა და შემადგენლობა რის მიხედვით დააყენეთ?

— ბაქოში ოქტომბრის ბოლოს დავით ციმაკურიძის სახელობის თბილისურ ტურნირზე თავგამოჩენილი ბიჭები მიმყავს, თუმც ათივე წონაში მოჭიდავე არ გვეყოლება. გადავწყვიტეთ, 42 და 54 კილოგრამიანების ნაცვლად იმ წონების კანდიდატები ჩაგვესვა, სადაც უფრო დიდი კონკურენციაა. 69 კილოგრამში ორი მოჭიდავე მიგვყავს, ხოლო 85-ში სულაც სამი.

— 42 და 54 კილოგრამიანების წაყვანისგან რატომ შეიკავეთ თავი?

— ამ წონებში ნაკრების უმთავრეს კანდიდატებს დასვენების საშუალება მივეცით. წინ საქართველოს ჩემპიონატია, რომელიც თებერვლის დასაწყისში უნდა ჩატარდეს და ამ მცირე მონაკვეთში წონის ორჯერ დაკლებას ავარიდეთ.

— თუ საიდუმლო არ არის, რამდენ მედალს ელით?

— ამ ტურნირზე ტრადიციულად წარმატებულად გამოვდივართ. შარშანწინ ხუთი ოქროს მედლით გუნდური პირველობაც მოვიგეთ, შარშან კი გუნდურში მეორეზე გავედით. იმედია, თავს არც ამჯერად შევირცხვენთ, მაგრამ ბაქოური ტურნირიდან უმთავრესი ნაკრების დაკომპლექტება და საევროპოდ მომზადებაა.

— ევროპის ჩემპიონატი ივლისშია. მანამდე ბევრ კანდიდატს გამოცდით?

— საივლისო შემადგენლობა 90 პროცენტით გარკვეულია. მანამდე კი რამდენიმე სერიოზული ტურნირია და ნაკრებს საბოლოოდ მათი შედეგების მიხედვით დავაკომპლექტებთ.

— საჭიდაო წესებში ბევრი ცვლილებაა. ეს ტურნირი უკვე ახალი წესებით ჩატარდება?

— რა თქმა უნდა. შეხვედრები სამპერიოდიანი იქნება. დაახლოებით საჩოგბურთო პრინციპით. თუ ერთმა მოჭიდავემ პირველი-მეორე პერიოდები მოიგო, შეხვედრა ავტომატურად შეწყდება და იგი მოგებულად გამოცხადდება. აღარ იმოქმედებს ჩოქბჯენით დასჯის წესიც. გარდა ამისა, გათამაშდება ორი მესამე ადგილი. ადრეულ ეტაპზე დამარცხებულ მოჭიდავეს დამამშვიდებელ ეტაპზე გადართვისა და ბრინჯაოსთვის ბრძოლის შანსი ექნება.

ოთარ გალლაკელიძე

		საქართველოს ნაკრები
46	კგ	კონსტანტინე მაისურაძე
50	კგ	გიორგი ედიშერაშვილი
58	კგ	მურთაზ კვესაძე
63	კგ	გიგა ცერცვაძე
69	კგ	გაგა სამხარაძე
		გოჩა ლომთათიძე
76	კგ	თორნიკე სვანიძე
85	კგ	დაჯი ქერაშვილი
		დავით მოძმანაშვილი
		ბექა ჭელიძე
100	კგ	ზაალ მარტიაშვილი



როჯერ ფედერერი

ლინდსი დევენპორტი

ფრონტებზე ცვლილებები არ არის

ახალსეზონის პირველი კვირის დამლევს ეიტიპი და დაბლტიეი ტურებმა განახლებული რეიტინგსიები გამოსცეს. რაკიღა გასულ შვიდ დღეში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, სიები მნიშვნელოვან ცვლილებებს არ შეიცავს. მაგრამ მათი გამოქვეყნება იმიტომ გადავწყვიტეთ, მადლიერს მკითხველს კაცთა და ქალთა შორის მოლიდერეთა რეიტინგული თანმიმდევრობა რომ შევახსენოთ. ხვადრიონში ყველა დანარჩენს კვლავ ერთი თავით უსწრებს შვეიცარიელი როჯერ ფედერერი, ვინაც დოჰაურ მაგარსაფარზე უფაიზაღესად იბურთავა, ზედიზედ მე-14 ფინალი მოიგო და თავისი ტიტულმონაგარი 23-მდე აიყვანა. მდედრიონში კი საქმეში ჩაუხედავ ადამიანსაც თვალში ეცემა რუსქალთა სიმრავლე. იქითა ორშაბათს დასაწყებ ავსტრალიის ღია პირველობაზე ფავორიტებად სწორედ სკვითი მენადელები მიიჩნევიან. ტურნირის შარშანდელი ფინალისტების — ჟუსტინ ენენ-არდენისა და კიმ კლაისტერსის არყოფნაში სკვითებს წინააღმდეგობას მხოლოდ რეიტინგსიის პირველოსან-მეორეოსანი ლინდსი დევენპორტი და ამელი მორესმო თუ გაუწევენ.

ლევან კელაურაძე

ვაჟები — 12-თვიანი მგორავი რეიტინგსიები — ქალები

1	(1) როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	6525
2	(2) ენდი როდიკი (აშშ)	3655
3	(3) ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	3590
4	(4) მარატ საფინი (რუსეთი)	3060
5	(5) კარლოს მოია (ესპანეთი)	2520
6	(7) გილერმო კორია (არგენტინა)	2400
7	(6) ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი)	2360
8	(8) ანდრე აგასი (აშშ)	2100
9	(9) დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	1945
10	(10)გასტონ გაუდიო (არგენტინა)	1920
11	(12)იოაჰიმ იოჰანსონი (შვედეთი)	1745
12	(11)გილერმო კანიასი (არგენტინა)	1559
13	(13)ტომი რობრედო (ესპანეთი)	1430
14	(15)სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი)	1370
15	(16)მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	1340
16	(17)ტომი ჰაასი (გერმანია)	1330
17	(18)ანდრეი პაველი (რუმინეთი)	1325
18	(19)ნიკოლას მასუ (ჩილე)	1320
19	(20)ვინსტენტ სპადია (აშშ)	1285
20	(14)დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)	1261
74	(76)ირაკლი ლაბაძე (საქართველო)	510

1	(1) ლინდსი დევენპორტი (აშშ)	4760
2	(2) ამელი მორესმო (საფრანგეთი)	4546
3	(3) ანასტასია მისკინა (რუსეთი)	4012
4	(4) მარია შარაპოვა (რუსეთი)	3536
5	(5) სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	3526
6	(6) ელენე დემენტიევა (რუსეთი)	3448
7	(7) სერენა უილიამსი (აშშ)	3128
8	(8) ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია)	2884
9	(9) ვინუს უილიამსი (აშშ)	2400
10	(10)ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2359
11	(11)ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	2299
12	(13)ალიშა მოლიკი (ავსტრალია)	1970
13	(12)ნადია პეტროვა (რუსეთი)	1944
14	(14)პატი შნიდერი (შვეიცარია)	1773
15	(15)ელენა ბოვინა (რუსეთი)	1598
16	(16)პაოლა სუარესი (არგენტინა)	1477
17	(18)კაროლინა სპრემი (ხორვატია)	1414
18	(19)ფრანჩესკა სკიავონე (იტალია)	1403
19	(20)სილვია ფარინა ელია (იტალია)	1380
20	(22)კიმ კლაისტერსი (ბელგია)	1326



კოტომიცუბიმ კოკაი წაგვიქცია

სუმოს მექად წოდებულ ტოკიოს „კოკუგიკანის“ სასახლეს ამ დღეებში იმპერატორი ეწვია და 2005 წლის პირველი ბაშოს გახსნას დაესწრო. უმაღლეს დივიზიონ მაკუტის ორკვირიან ტურნირს ქართველი ლევან ცაგურია, იგივე კოკაი, იგივე „შავი ზღვაც“ ჭიდაობს და ბაშოსადმი ჩვენი ინტერესიც სწორედ ამით აიხსნება.

ბოლო ორი ტურნირის უარყოფითი ბალანსით ჩამთავრების შემდეგ კოკაის წოდება წლეულს შარშანდელთან შედარებით მოკრძალებულია — შარშან დასავლეთის მეორე მაეგასირა იყო, ახლა უკვე მესამეა. აღმასვლისთვის საჭიროა ამ ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება, თუმც ორი ტურის შემდეგ ჩვენებურის აქტივში ჯერ ერთი ქულაც არ ჩაწერილა.

პირველ დღეს „შავი ზღვა“ ყველაზე უხერხულ მეტოქესთან კომუსუბი კოტომიცუკისთან დამარცხდა. ამ ბრძოლის ჩათვლით კოკაი-კოტომიცუკის უკვე ექვსჯერ უჭიდავიათ და ექვსჯერვე უცხოტომელს უმარჯვია.

მეორე ტურში ქართველი სეკივაკე ტოჩიაძუმას დაუპირისპირდა და მეტოქის პირველსავე შეტევას ემსხვერპლა. ტოჩიაძუმა ლიდერებში გაერია. მისი წამქცევი ჯერ არ გამოჩენილა, თუმც საჩემპიონო შანსებზე საუბარი ძალიან ადრეა.

დღეს კოკაი უძლიერეს სუმიტორს, 21-ე საუკუნის პირველ იოკოზუნას ასასიორუს ხვდება და ალბათ წინა სამი შეხლის მსგავსად ვერც ამჯერად აჯობებს. 144-კილოგრამიანი მონღოლი „კოკუგიკანშიც“ პირველობის უმთავრესი ფავორიტია.

სხვა მხრივ, სეზონის პირველი ბაშო 32 წლის ოძეკი კიოის ვაიოკოზუნების შანსსაც უნდა გაელამაზებინა, თუმც უკვე მეორე ტურში ეს შანსი თეორიულამდე შემცირდა. დიადი ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად იმპერატორის თასის ხუთჯერ მომგებ სუმიტორს ამ ორ კვირაში დარჩენილ ცამეტ ბრძოლაში თორმეტი გამარჯვება სჭირდება, რაც ალბათ არარეალური. კიო ისეთ მოწინააღმდეგესთან დამარცხდა, ბოლო ექვსი წელი ცალი ხელით რომ უსწორდებოდა. ოძეკის გულის გასახეთქად, 36 წლის კოტომიცუკიმ მანცდამაინც მაშინ გამოიჩინა თავი, მეტოქეს ყველაზე მეტად რომ სჭიროდებოდა მოგება.

ოთარ გალლაკელიძე

თოვლის ამბები

ავსტრიაში კვლავაც კოხტად ფრინავს მთოვლიოს თასის ლიდერი ჰანუ მანინენი. ფინელი ისე კოხტად მოლივლივებს ქალაქ ზიფილდის თავზე, რომ ძნელად რომ ლიდერობა დასთმოს. ჩეხურ ლიბერეცში კი მხოვლიოს თასის მარათონი გახურებულა, სადაც, რა გასაკვირია და ერთმანეთსაც წამოდებია ხალხი. მთელს 3500 მონაწილეში ამნაირი რამები მოხდება, აბა რა იქნება.

მთელი ევროპისა

ჰოლანდიელები სწორუპოვარნი არიან ციგურაობაში. ჰოდა, იქაურ ჰერენვენშიც ევროპის საერთო ჩემპიონი იქაურივე იოჰემ უიტდეჰააგე შეიქნა, რომელიც აგრე გახარებული მარხილზე შემოსვეს და ისე შემოატარეს ყინულს.

მარტინა

ყველა და ყველაფერი ბერდება და ცვდება. ამბობენ, ყველაფერს დროის ეშინიათ, დროს კი პირამიდებისაო. ჩვენ კი დავამატოთ, დროს მარტინა ნავრატილოვასიც ეშინია. ამ ჯერზე კი წააგო წყვილთა თამაში სიდნეიში, მაგრამ ამას აღარანაირი მნიშვნელობა არა აქვს მაშინ, როცა დროს შენი ეშინიათ.



სამხრეთში



ესპანური სანტანდერის პირად გვარიანი ტალღებია. ვიღაცას ეგებ სცივა კიდეც ჩრდილოეთში, მაგრამ აქ კარგი სერფინგობა გამოდის. კარგია სამხრეთი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლავერაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge